[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 175

ოთხშაბათი 28 სექტემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 175

ოთხშაბათი, 28 სექტემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ხუთშაბათს, 29 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ტფილისის რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში, კათოლიკეთა ქუჩაზე, გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

ბარბარე პავლეს ასულის ზუბალაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ განსვენებულის ქალიშვილები **იულია** და **ჰენრიეტა ივანეს ასულნი ზუბალაშვილები**.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

დღეს, ოთხშაბათს, 28 სექტემბერს, ანჯელო ჰამბას მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 4 მოქმ. და 7 სურათად, მუსიკა ჩაიკოვსკისა,

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არციბაშევისა, ნიშეცკია, რუდინა და კარპოვა, ბ-ნები: კარელინი, კოლოტოვი. სოკოლსკი, ჩისტიაკოვი, დემიანენკო, ფილიპოვი და შეინი.

ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ი. პ. ფალიაშვილი.

ანონსი: ხვალ, ხუთშაბათს, 29 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება „ტრუბადურები", ოპერა 4 მოქმ. და 6 სურათად, მუსიკა ვერდისა.

თარგმ. გუტხელისა.

ქ. თავართქილაძის სტამბაში

ელისაბედის ქუჩა № 25

საჭიროა ასოდ-ამწყობები, მბეჭდავები და მანქანაზე მომუშავე უბრალო მუშები.

იქვე მიიღებენ შეგირდებს, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს. (1—1).

ქ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში

გიორგიევის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, იყიდება შემდეგი სასწავლო სახელმძღვანელო წიგნები:

1) **სახელმძღვანელო** ან სწავლა საღვთო სჯულისა, დეკ. ა. ყუბანეიშვილის შედგენილი, მეხუთე, შესწორებული გამოცემა და უწმ. სინოდისაგან მოწონებული სკოლებში სახმარებლად. ფასი ყდით 30 კაპ.

2) Практическій Курсъ Грузинскаго языка для русскихъ შედ. პ. ჰირიანაშვილისა ღირს 60 კაპ.

3) გეოგრაფია იონესანისა სომხურ ენაზე—50.

4) **მოკლე ისტორია საქართველოსი** შედ. ვ. ურუშაძისა ფასი—25 კ.

ზემოჩამოთვლილი წიგნების უმთავრესი საწყობი ხსენებულ მაღაზიაშია და იყიდება ფას-დაკლებით. იქვე იყიდება ყოველ გვარი სამოსწავლო და სახელმძღვანელო წიგნები, სხვადასხვა ენაზე გამოცემული. (4—1).

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხელ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

პ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ჟ. ფ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაზანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქი. მძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. მ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **პ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 ხუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლ 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაჭაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

შინ და გარედ

ერთი თავისებური ზნე-ჩვეულება თუ თვისება გვაქვს, რომელიც, ჩვენის აზრით, უეჭველად ჩვენის უკულტურობის, ზნეობა-ხასიათის შეუმუშავებლობის მაჩვენებელი არის. ქართველის საქციელი, მოქმედება, თავის დაჭერა, საერთოდ ყოფა-ქცევა არსებითად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ სად, ვის წრეში არის იგი,—შინ თუ გარედ, თავისიანებში თუ გარეშეებში. რამდენადაც მორიდებული, თავდაჭერილი და ზრდილობიანია იგი უცხოთა წრეში, იმდენადვე მოურიდებელი, თავდაუჭერელი და შფოთიანი ანარქისტია იგი თავისიანთა საზოგადოებაში.

სადაც კი შეხვალთ, რომელ საზოგადო დაწესებულებასაც კი დააკვირდებით, რომელ ცოტად თუ ბევრად გაშლილ ასპარეზსაც კი მიაქცევთ ყურადღებას ქართველის პსიხიურ თავისებურობის დასახასიათებლად, ყველგან იმ ჩვენგან აღნიშნულ თვისებას შეამჩნევთ, ყველგან შემდეგი დასკვნის დამამტკიცებელ ფაქტებს დაინახავთ: თუ ქართველი გარეშეებთან ცოტად თუ ბევრად მოსაწონია თავის მორიდებულ ქცევითა და თავის დაჭერით, სამაგიეროდ იგი თავისიანთა წრეში ყოვლად დასაგმობი და დასაძრახია თავის მოურიდებლობითა და თავაშვებულობით.

ამის დამამტკიცებელი მაგალითები მრავალთ მრავალია ჩვენს ცხოვრებაში, ყოველ ფეხის გადადგმაზე გვხვდება ჩვენს საზოგადოებაში. შებრძანდით, მაგალითად, თეატრში და წარმოდგენას დაესწარით. რას ნახავთ აქ? ბევრ რამეს, რასაც სხვა კულტურულ საზოგადოებაში ვერ შეხვდებით. ქართველი იყიდის უკანა რიგის ათ შაურიან ბილეთს და არხეინად დაბრძანდება პირველი რიგის სამ მანეთიან ადგილზე. რადა? იმიტომ, რომ იგი საჭიროდ არა სთვლის თავისიანებს მოერიდოს და ისეთი რამ არ ჩაიდინოს, რასაც უცხო საზოგადოებაში გარეშეებს მოერიდებოდა და არ მოიმოქმედებდა. წარმოდგენის დროს იგი ხმაურობს, იცინის, ლაპარაკობს და სხვებს სცენიდან ნალაპარაკევის გაგონებას უშლის. ანტრაქტების შემდეგ დარბაზში შემოდის იმ დროს, როცა ფარდა ახდილია, და ისეთ ბრახა-ბრუხს ახდენს, რომ ყურთა სმენა არაა. დარბაზს გარედაც იგი ისე იქცევა, თითქო თეატრი მისი საკუთრება იყოს და მასში ამ დროს მის გარდა სხვა არავინ იმყოფებოდეს. პაპიროზს სწევს იმ ადგილას, რომელიც სასეირნოდაა დანიშნული და თამბაქოს წევა მოუხერხებელია და აკრძალულიც არის. თავზე ქუდ დახურული დადის იქ, სადაც ჩვეულებრივ ზრდილობიანი ადამიანები ქუდმოხდილნი დაიარებიან. ერთის სიტყვით, მის „თავისუფლებას" საზღვარი არა აქვს. თეატრის დარბაზში თქვენ ნახავთ 3—4 წლის ბავშვებს, რომელნიც დედებსა თუ მამებს თან მოუყვანიათ. წარმოდგენის დროს ეს ბავშვები სავარძლიდან სავარძელზე დახტიან, ხითხითებენ, სავარძლებზე წვებიან და მოუსვენრად ტრიალებენ, სანამ იქვე არ ჩაეძინებათ. „მოსიყვარულე" დედები ამ ბავშვებს ამ დროს, ე. ი. წარმოდგენის დროს, ეალერსებიან, ჰკოცნიან და ტკბილ „გენაცვალეს" ეუბნებიან. ასეთია ჩვენი „პუბლიკა".

ქართველი რუსულ წარმოდგენებზედაც დაიარება. აბა დააკვირდით: იგი აქ არც ერთ იმგვარ „თავისუფალ" საქციელს არ მოიმოქმედებს, როგორსაც თავისიანებთან ქართულ წარმოდგენებზე. მისი აზრით, ზრდილობა და თავდაჭერილობა სავალდებულოა უცხოებთან, ხოლო თვით ქართულ საზოგადოებაში ყველაფერი ნება-დართულია. აქ საჭირო არაა საზოგადოებრივ ავტორიტეტის ცნობა და თავაშვებულობის ინსტიქტის შეკავება.

ეს საერთო მოვლენაა ქართველთა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, აიღეთ თუნდა,—რახან თეატრზე დავიწყეთ ლაპარაკი,—თეატრის არტისტები. არც ერთი მათგანი არ დაემორჩილება მათგანვე არჩეულ კაცის ავტორიტეტს და მისგან შემოღებულ წესს. ქართველი ქართველის ავტორიტეტს, თუნდა ეს თავისუფალ და ძალდაუტანებელ არჩევანის საფუძველზე იყოს დაფუძნებული, არსად და არაფერში არა სცნობს.

მიბრძანდით სათავად-აზნაურო სკოლის კრებებზე. სხვა ხალხის ვერც ერთ ამგვარ დაწესებულებაში ვერ ნახავთ იმის მსგავს მოვლენას, რომელსაც იხილავთ ამ დაწესებულებაში. ვერ ნახავთ, რომ სხვაგან მასწავლებლებმა შეგირდები შემორეკონ კრების დარბაზში და აგიტაციაში მონაწილეობა მიაღებინონ. ვერ ნახავთ, რომ თვით მასწავლებლები ისე მოურიდებლად ელაპარაკებოდნენ და ისეთ მუქარას უთვლიდნენ დაწესებულების შემნახველ საზოგადოებას, როგორც აქ. თვითონ ქართველს ვერ შეამჩნევთ ამ ვითომ გაბედულობის მესამედსაც იმ დაწესებულებაში, რომელიც ქართველებს არ ეკუთვნის და, მაშასადამე, მოთხოვნილებათა აღმასრულებელნიც ქართველები არ არიან. თავისიანებში გულადი ქართველი აქ კრავზე უფრო კრავია და მთავრობის წინ კაც-კაცად იზნიქება...

იქნება მკითხველებმა სთქვას: ადამიანი ყოველთვის ცდილობს უცხოთა წინაშე უფრო თავდაჭერილი იყოს და აქ ქართველობა სიტყვაზე მოსატანი არაა. შეცდომაა. იმ ადამიანს კულტურული ადამიანი ვერ დაერქმევა, რომელიც ჭუჭყიან პერანგზე აბრეშუმის სუფთა პიდჟაკს ან წამოსასხამს იცვამს. ადამიანს უნდა უყვარდეს სისუფთავე თავისთავად და არა მარტო იმ მოსაზრების გულისთვის, რომ სხვებმა არ დამინახონ. ასეა იმგვარ საქციელის შესახებაც, რომელსაც უფრო ზნეობრივი ხასიათი აქვს, ზრდილობა და ჯენტლმენობა საჭიროა გარედ და შინაც.

და ამ მხრივ სწორედ დიდი აღზრდა გვეჭირვება ყველას, ძალიანი შემუშავება და გაუმჯობესება სჭირია ჩვენს ქართულ ხასიათს...

* * *

ხალხი და კანონიერება

დღევანდელ ნომერში დაბეჭდილი ოფიციალური განცხადება აღიარებს საჯაროდ იმას, რასაც, დიდიხანია, ვფიქრობდით ყველანი, ვფიქრობდით, მაგრამ აშკარად გამოთქმას კი ვერ ვახერხებდით... დღემდის.

რომ ადმინისტრაციის თვითნებობა ხალხს აღელვებს, რომ ჯარების ძალმომრეობა წინააღმდეგობას იწვევს, რომ არ შეიძლება ხალხის დამშვიდება, სანამ მისი ძალად-მაცხოვრე ადმინისტრაცია ხალხს არ უჩვენებს კანონიერ მოქცევის მაგალითს, რომ არ შეიძლება კანონის მაგიერად გაბატონდეს ადმინისტრაციის კერძო სურვილი და შეხედულება,—ვინ არ იცის ეს უტყუარი ჭეშმარიტება?

ვიცით ყველამ და ამიტომ არის, რომ კავკასიის ყველა კუთხეში ხალხი თანასწორად ღელდებოდა ყოველთვის, როდესაც ადმინისტრაცია კანონიერების გზას გადასცილდებოდა ხოლმე და როდესაც ამის მსხვერპლი ხდებოდა ხალხი. ვის არ ახსოვს ის საშინელი ამბები, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა ტფილისსა და სხვა ადგილებშიც მხოლოდ იმიტომ, რომ ადმინისტრაცია ხალხს ადამიანად არ სთვლიდა, მასში ყოველგვარ ადამიანურ გრძნობას სთელავდა, რომ აჯანყებას ხედავდნენ იქ, სადაც ხალხი მხოლოდ თავის ძირითად უფლებებს ითხოვდა და იკრიბებოდა სხვადასხვა საჭირბოროტო საქმის მოსაგვარებლად...

ოფიციალური განცხადება ჰგმობს ამნაირ ძალმომრეობას და ამ განცხადებაში გამოთქმული დაპირება თუ იქმნა შესრულებული, ხალხის ზურგს ჩამოშორდება კაზაკის მათრახი, ადამიანის გულს—ტყვია და ყველა „საეჭვო" პირს—გადასახლება.

ცხოვრებაში დამყარდება კანონიერება, ე. ი. სავსებით შესრულებული იქმნება ყველა არსებული კანონი, იმისდა მიუხედავად, ცუდია იგი, თუ მოსაწონი.

ადმინისტრაცია, ჯარი—იარაღია, რომელიც ძალას და სიმკვიდრეს აძლევს ცხოვრებაში არსებულ წყობილებას და კანონებს. ამიტომ იქ, სადაც კანონები კარგია, ადმინისტრაციისა და ჯარის სიმტკიცეს და კანონიერ მოქმედებას მოჰყვება ამ კარგ კანონების ასრულება და პირიქით, იმ სახელმწიფოში, რომელიც კარგ კანონებს მოკლებულია ადმინისტრაცია და ჯარი ამ უვარგის კანონებს მხარს უჭერენ და ამაგრებენ. იქ, სადაც ხალხი უვარგის კანონების მაგიერად ახალ კანონებს მოითხოვს, სადაც მას ახალ კანონების შესაქმნელად ყოველივე კანონიერი გზა დახშული აქვს, სადაც მხოლოდ კანონის დარღვევით არის შესაძლო ახალ და უკეთეს კანონების შექმნა, იქ ადმინისტრაციისაგან და ჯარისაგან კანონიერების დარღვევა უდრის ხალხის ახლად გადაშლილ ძალების შებოჭვას და გზის მოსპობას ცხოვრების განახლებისკენ.

ადმინისტრაციის კანონიერ ქცევას ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა იქ აქვს, სადაც ხალხი არსებულ კანონდებლობით კმაყოფილია ან სადაც ხალხს თავის სურვილების განსახორციელებლად კანონიერი გზა დახშული არა აქვს, სადაც ადმინისტრაციის კანონიერება ხელს უწყობს ხალხის გამოფხიზლებას და უადვილებს ცხოვრებაში დასახულ მიზნების მიღწევას; სადაც კანონიერება მხოლოდ ადმინისტრაციის გასაძლიერებლად და ხალხის დასაბეჩავებლად არ არის შემოღებული.

კ. ხ.

ერთის სასწავლებლის შესახებ.

ჩვენში არსებობს ერთი სასწავლებელი, რომლის მიზანია სამღვდელო პირების მომზადება. ამ ჟამად ყველასთვის ცხადია, რომ არც ერთ სასწავლებელში ხეირიანად საქმე არ ყოფილა მოწყობილი. ყველგან შეგირდს ათასნაირი განსაცდელი და დამცირება მოელოდა. თაობა-თაობაზე შეუბრალებლად ითელებოდა. მაგრამ არსად ისე არ ყოფილა მოწაფე შევიწროებული, როგორც ზემოდ დასახელებულ სასწავლებელში. ამას ცხადად გვიმტკიცებს მისი ხანგრძლივი არსებობის ისტორიიდან ამოღებული ფაქტები. მის ფაქტებს შორის ურიცხვი დრამაა დამარხული. საერთო დამახინჯებასთან ერთად, არა ერთი ახალგაზდა დამახინჯებულა და სამუდამოდ კისერი მოუტეხია ამ კედლებს შორის. ამ ბოლო დროს ხომ სულთამხუთავი ატმოსფერა გამეფდა ამ სასწავლებელში. საქმე სასწავლებლის დროებით დაკეტვით დასრულდა.

ჩვენ აქ მის ყოველ მხრივ ცხოვრებას ვერ შევეხებით, თუმცა ეს საზოგადოებისთვის მეტად საყურადღებო იქნებოდა. ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ერთ მთავარ-ზნეობრივ მხარეს. მის მაგიერ, რომ ცდილიყვნენ მოწაფეებში აღეზარდათ ურთიერთის სიყვარული და გატანა, აქ მუდმივ ერთ და იგივე დევიზით მოქმედებდნენ: გაჰყავი და დაიმარცხე. სხვადასხვა ეროვნებისგან შემდგარ მოსწავლეთა კრებულს მუდმივ უქადაგებდნენ ერთმანეთის მტრობის საჭიროებას, ერთ ნაწილს რომ ემოყვრებოდნენ, მეორეს ემტერებოდნენ, ერთ ნაწილს მეორეს უსისინებდნენ. შედეგი?

სასწავლებელი დაიკეტა. მოწაფეთა კრებული სამ ჯგუფად განაწილდა. ერთ ჯგუფში მოჰყვა სულ ყველა რუსი, რიცხვით ოცი,—მეორეში—ყველა ბერძენი, რიცხვით—15, ხოლო მესამე ჯგუფში—ყველა ქართველები—დაახლოვებით—70. ამნაირად, ჯგუფები გათიშულად მოქმედებდნენ და, ერთი რომ რაიმე მოთხოვნილებას წარმოადგენდა, მეორე ცდილობდა მისთვის ფეხი გამოედო და კისერი მოეტეხნა. ყველა რუსი და ბერძენი სასწავლებელს ნება-ყოფლობით მოერიდა, რადგან არ მოისურვეს დანარჩენ ამხანაგებთან სოლიდარული მოქმედება. მათ მთავრობა აძლევს წარჩინებულ ატესტაციას რუსეთის სასწავლებლებში მიღებისათვის. ხოლო ქართველები სულ ყველა გამორიცხეს. ეს კიდევ არაფერია. მათ შეუმცირეს ნიშნები ყოფაქცევაში. ეს ჩვეულებრივი ზომაა ამ სასწავლებელში. არა ერთ ახალგაზდას გადაეღობა გზა ამ ზომით, როგორც ლუკმა-პურის მოპოვებაში, ისე სწავლის გაგრძობაში.

მაგრამ დღეს ამისთანა ამბავი არ უნდა მომხდარიყო. ის ძალები, რომელნიც დღემდის წყვდიადით დაფარულნი პარპაშობდნენ, დღეს ასეთ საგმირო საქმეებს ველარ უნდა სჩადიოდნენ. ჩვენ ვერასდროს ვერ მოვთხოვეთ მათ ჰუმანიურ-ადამიანურ მოქცევას. ეს მათი ბუნების წინააღმდეგია. ხოლო ჩვენთვის გაუგებარია მათი დღევანდელი ქცევა. ნუთუ მათთვის სრულიად უმნიშვნელო დარჩა საზოგადოება? საჭიროა, სანამ გვიან არ არის, ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ხსენებულ ფაქტს და უბრალონი არ დაიჩაგრნენ. დღეის იქით კი მთელი წესი ძირიანად უნდა შეიცვალოს. განსაკუთრებული სასწავლებელი, რომელიც თავიდანვე ტენდენციოზურად ზრდის თავის მოწაფეებს და ამით ცდილობს დაუხშოს იმათ სალი განვითარების გზა, დააშოროს ხალხს, სამუდამოდ უნდა უარყოფილ იქმნას. წოდებრივ ნიადაგზე და წოდებრივ შინაარსზე აგებული სწავლა ყოველთვის საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგია. დროა, შეიგნონ ეს იმათ, ვის შვილებსაც დღეს ხსენებული სასწავლებელი ზრდის. სრული რეორგანიზაცია, როგორც სწავლების, ისე აღზრდის მხრივ სასწავლებლის სავსებით საზოგადოების ხელში გადასვლა,—აი, რა გზაა, რომელიც ნორმალურ ცხოვრებას დაამყარებს მას კედლებში და მოსპობ
ბებს, რომელნიც მუდამ ასახიჩრებდნ
ბედნენ და თავის მსხვერპლად ხდი
ყრთის ახალგაზდას.

* * *

ოფიციალური განცხადება.

კავკასიის ნამესტნიკის ნება-დართვით
გუბერნატორებს, ოლქის უფროსებს, საგუ
საოლქო და რკინის გზის ჟანდარმთა გამგეო
რისებს, მათ თანაშემწეთ, პოლიცმეისტერებს
რის უფროსებს დაეგზავნათ გენერალ შირინკინ
ცირკულარი, № 655, სადაც სხვათა შორის ნათქვ

„გავიცან რა საერთო ხასიათი კავკასიის სათ
უფროსთა მოქმედებისა, სამწუხაროდ, უნდა გა
რო, რომ მათი მოქმედების ხასიათი არ შეეფე
მათის სამსახურის მოთხოვნილებათ. საზოგადო
უზრუნველ-ყოფილებისა და სახელმწიფო წესწყო
ლების დაცვა მარტო მაშინ შეიძლება, თუ სათან
მთავრობა დაიმსახურებს მკვიდრთ ნდობას და და
წმუნებული იქნება, რომ მთავრობის წარმომადგე
ლები მარტოოდენ მკვიდრთა კეთილდღეობას ემსა
რებიან, განურჩევლად კლასებისა, და თავის სამსახუ
რის აღსრულების დროს მოხელენი მტკიცე და შეურ
ყეველნი იქნებიან.

ჩვენ დავასახელებთ იმ გარემოებათ, რომელთაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს მოხელეთა მოქმედებაში და რომელთა თავიდან აცილება საჭიროა. 1) ჩვენ არა ერთხელ შეგვიმჩნევია, რომ ადგილობრივ მთავრობის ორგანოთა წარმომადგენლები უეჭველად მოძრაობის — მუშათა თუ აგრარულს—დასაბამად ასახელებენ ბოროტ-გამზრახველთა აგიტაციას მათდამი რწმუნებულ რაიონებში და თხოულობენ ამ აგიტატორების გაძევებას, რის შემდეგაც უეჭველად მოძრაობა გათავდება თავის-თავადაც ჩაქრება. ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ასეთი აზრი პრაქტიკით არა მართლდება, ვინაიდან ბოროტ-გამზრახველთა გაძევებით არავითარი მოძრაობა არ ჩამქრალა, ვიტყვით მხოლოდ, რომ ასეთი აზრი თეორიულადაც მართალი არ არის. უეჭველია აგიტაცია მხოლოდ მაშინ გამოიღებს ხოლმე ნაყოფს, როდესაც მას ნიადაგი აქვს ხალხში. მაშასადამე, ჩვენ ვერ დავუჯერებთ ადგილობრივ დაწესებულებათა იმ უფროსებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ თუნდა, მაგალითად, სისტემატიური გაფიცვა ათასისა და ათი-ათასის მუშისა, რომელიც გაფიცვებიც ხშირად სამხედრო ძალის ხმარებას გვაიძულებენ ხოლმე და ამ ძალის ხმარებას ადამიანთა მსხვერპლიც მოსდევს, მარტო რამდენიმე ბოროტ-გამზრახველის აგიტაციის ნაყოფი იყოს. ასეთი მსუბუქი ახსნა-განმარტება ამ დიად მოვლენათა, სამწუხაროდ, მარტო იმას ამტკიცებს, რომ სათანადო მთავრობა გულგრილად ეკიდება თავის თანამდებობათა აღსრულებას და არა სცდილობს ყოველ მხრიდან გამოიკვლიოს, შეისწავლოს ეს მოვლენა. უამისოდ კი მე არ შემიძლია ნამესტნიკს გადავცე საქმის ნამდვილი ვითარება. ამასთანავე ჩემ მოხსენებაში ნამესტნიკისადმი ყოველთვის დავასახელებ ხოლმე იმ მოხელეთ, რომელნიც წინდაწინვე ზედმიწევნით გამოარკვევენ საქმის გარემოებას და ამათი საშუალებას მოგვცემენ, რომ ჯეროვანისა და სათანადო ზომების მიღებით თავიდან ავიცილოთ მომავალი სამწუხარო შედეგი. 2) ვინაიდან სათანადო მთავრობას ასეთი ყალბი წარმოდგენა აქვს საზოგადოებრივსა და კლასობრივ მოძრაობის მიზეზებზე, შევამჩნიე აგრეთვე, რომ ძალიან ხშირად თხოულობენ ხოლმე ამა თუ იმ ბოროტ აგიტატორის სამშობლოდან გაძევებას. უნდა ვსთქვა, რომ რადგანაც სისხლის სამართლის ახალ დებულებაში ძალიან ნათლადაა აღნიშნული ის თვისებანი, რომელთა მეოხებით ესა თუ ის პირი უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის წესის 1035 მუხლის ძალით სახელმწიფო წესწყობილების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის, მე არ შემიძლია მხარი დავუჭირო ფართო პრაქტიკას ადმინისტრატიულ დასჯისას. მე მგონია რომ ამგვარი ბრძოლა სახელმწიფო წესწყობილების მტერთა წინააღმდეგ, რომელ მტერთა გამრავლებას შეიძლება ადმინისტრატიულმა რეპრესიებმაც შეუწყოს ხელი, არამც თუ სასარგებლო არ არის, არამედ პირდაპირ მავნებელიცაა ჩვენთვის, ვინაიდან ასეთი ხშირი და სასტიკი ზომები ხალხის თვალში მთავრობას აბრუს უტეხავს და ეჭვს ჰბადებს მის სამართლიანობა-თანასწორობაში. ადმინისტრატიული რეპრესია მხოლოდ იშვიათად და უსაჭიროესს შემთხვევებში უნდა იხმარებოდეს. ხოლო როცა ეს რეპრესია საერთო წესადა ხდება და იხმარება არა იშვიათ შემთხვევაშიც კი, აღელვებს და ამწვავებს ხალხს, სთესავს შუღლს მთავრობის წარმომადგენელთა შორის და ხელს უწყობს მთავრობის მტრებს, რომ ეს ზომები მთავრობის თვითნებობად მონათლოს. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ჟანდარმთა კორპუსის მოხელენიც მიმართავენ ხოლმე ამ ზომებს, ჟანდარმთა ოფიცრების უღონობას ამტკიცებს, ამტკიცებს იმას, რომ ამათ არ ძალ-უძთ საქმის რიგიანი გამოძიება, ანუ სათანადო დაფასება ამა თუ იმ აგიტატორის მოქმედებისა, რომელიც შეიძლება დასასჯელიც არ იყოს.

მაგალითად, დღეს მე ხელთა მაქვს მოხსენება ჟანდარმებისა იმ პირთა ადმინისტრატიულად დასჯის შესახებ, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ მუშათა,

მეეტლეთა და ლაქიებ შორის და ის კი არ არის ნათქამი, რომ ეს პირნი სრულიადაც არ ეკუთვნიან რომელიმე აკრძალულ ორგანიზაციას და აგიტაციას მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე ეწეოდნენ. ერთი მათგანის შესახებ ხომ საკმარისი საბუთებიც არ არის ნაჩვენები. მეორის შესახებ კი არის. ეს მეორე 17 წლის ჭაბუკია და ისეთი საქციელიც ჩაუდენია, რომ იგი განსამართლებულ უნდა იქმნას სისხლის სამართლის წესით და პასუხის გებაშიაც მიეცათ. მაგრამ არც ჟანდარმს და არც ბრალმდებელს საჭიროდ არ დაუნახავთ მისი წინასწარი დაპატიმრება, ვინაიდან საკმაო საფუძველს ვერა პოულობდნენ. ვიმეორებ, რომ ფაქტიურად დაუსაბუთებელი მოხსენება არც კი უნდა წარმოედგინათ. ამ ორ კაცს სულ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა ათ, და მათთვის ერთსა და იმავე სასჯელის კი თხოულობენ. როდესაც ეს მოხსე ტნიკს წარვუდგინე, ნამესტნიკმა მოი ლოდ მეორეს დასჯა სისხლის სამარ 35 მუხლის ძალით და მიბრძანა ორი ნთავისუფლებინა და თან გამეფთხილე თუ კიდევ ჩაიდენდნენ რამე დანაშაულს, გადასახლებულ იქმნებოდნენ.

შემთხვევა. საქმის გამოძიება პოლიციის ქალაქის გამგეობაში არა კეთილსაიმედო ურეთა, რომლებიც გაიფიცნენ და ჯამაგირის ბას თხოულობდნენ, მოახდინა ჟანდარმთა ს ოფიცერმა. გამოძიება უმთავრესად დამყა გაფიცვის პირობების გამოკვლევაზე, მაგრამ ნაკლები საბუთები კი აღმოჩნდა. სხვათა შორის ხელი გამოსაძიებელი აღმოჩნდა ჩვენება რამდე კაცისა ერთის შესახებ, რომელიც ვითომ აკრ ულ სარევოლიუციო წიგნაკებს აკითხებდა სხვებს. ძიებაში მოხსენებულია მეორე მოუსვენარი კაცი, ლება დამნაშავეც კი, მაგრამ, ამის დასასკვნელად მათ საბუთები ვერ შეუკრებნიათ. აქედან ის დასკვნა ა გამოვიტანოთ, რომ ჟანდარმთა ოფიცერი გამო ბის დროს ყალბ გზას დაადგა და გამოძიების საგნად ვისთავად უმნიშვნელო ფაქტი აირჩია—გაფიცვა მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების მოთხოვნით—ფაქტი, რომელიც ან არავითარ ჟანდარმთა გამოძიებას არა საჭიროებდა, ან ამ ოფიცერმა ვერ მოახერხა აღმოეჩინა ფაქტები ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთა არა კეთილ-საიმედოობისა. ამ საქმის გამო კი ადგილობრივი მთავრობა რამდენიმე კაცის გადასახლებასა თხოულობს, ამავე დროს ამავე საქმიდანვე სჩანს, რომ სამი ბრალდებულთაგანი დასჯილ უნდა იქმნეს სისხლის სამართლის 1035 მუხლის ძალით, თუმცა არც ერთი მათგანი დატუსაღებული არ არის.

ეს მეორე საქმე თვალსაჩინოდ ჰყოფს, რომ მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენელნი სათანადო გულმოდგინებითა და დაკვირვებით არ ეპყრობიან თავის სამსახურის მოვალეობის აღსრულებას. სულ უბრალო საქმეა და 56 ფურცელი ქაღალდი კი გაუჭრელებიათ, თუ იმ მიწერ-მოწერას არ ვიანგარიშებთ, რომლებიც საქმეში არ არის ჩაკერებული და რომელიც წარედგინა ნამესტნიკის საბჭოს და ზედ მეტი და უსარგებლო დროს დაკარგვა გამოიწვია, ვინაიდან სასტიკ რეპრესიულ ზომების მიღება იმ უმნიშვნელო გაფიცვისა გამო, რომელიც გამგეობის კედლებს არ უნდა გასცილებოდა, არამც თუ გაამწვავებდა იმ პირთ, რომელთაც ეს რეპრესია დაადგებოდათ, არამედ აღელვებდა კიდეც მცხოვრებთ და აამხედრებდა მთავრობის წინააღმდეგ, რადგანაც ამ რეპრესიების მისაღებად საჭირო საბუთი ხელთ არ გვეჭირა.

3) შევამჩნიე აგრეთვე, რომ ხშირად ატუსაღებენ ხოლმე სხვადასხვა პირთ, თუმცა საამისოდ საკმაო საბუთები არა აქვთ. ასეთი ამბავიც მომხდარა, რომ ჟანდარმის ოფიცერს დაუტუსაღებია კაცი, და თავის გადაწყვეტილების ასლი ბრალმდებლისათვის არ გაუგზავნია—რასაც კანონი სასტიკად თხოულობს—და არც თავი შეუწუხებია საქმის გამოძიებით. კაცი იგი ორ კვირაზე მეტი იჯდა ციხეში და განთავისუფლებულ იქმნა მხოლოდ მაშინ, როცა ეს ბრალმდებელმა მოითხოვა ამ ტუსაღის საჩივრისა გამო. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ეს კაცი სრულიად უდანაშაულო ყოფილა და ჟანდარმის ოფიცერს ცოტა თავი რომ შეეწუხებინა, დატუსაღების რამდენიმე საათის შემდეგ, სრულ სიმართლეს შეიტყობდა. უნდა ახსოვდეთ სათანადო მოხელეთ, რომ თავისუფლების წართმევა და კაცის ოთახში მარტოდ-მარტო გამომწყვდევა ისეთი დიდი სასჯელია, რომ სასტიკი ზომები უნდა იქმნეს მიღებული იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ასეთ სასჯელ ვისმე უსაბუთოდ მიაყენებენ 4) თუ მთავრობის წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი თვითნებობა აზრუს უტეხავენ ამ მთავრობას ხალხის თვალში და ხალხს სამართლიანად აღელვებს, არა ნაკლებ ასუსტებს და ამცირებს მთავრობას ის გარემოებაც, რომ მთავრობის წარმომადგენელნი გულგრილად ეკიდებიან თავის მოვალეობის აღსრულებას და მთელის თავის ძლიერებით არ გამოიჩენენ ხოლმე იმ უფლებათ, რომელიც მათ აქვთ მინიჭებული. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ ხალხი, რომელიც აქამდე ემორჩილებოდა კანონიერ მთავრობას, ხედავს რა მთავრობის სისუსტეს, დღეს გადაუდგა მას და დაემორჩილა საიდუმლო კომიტეტებს. ამ გვარი მოვლენა აიხსნება მარტო იმით, რომ მთავრობას მოხელენი მთელის წლების განმავლობაში ყურადღებას არ აქცევდნენ ხალხის მწუხარება-დაღონებას, გულ-გრილად ექცეოდნენ თავის მოვალეობათა აღსრულობას და ამიტომაც, მოულოდნელად, ხალხის გარეშე დარჩნენ. ის ხალხი, რომელმაც დაინახა სისუსტე მთავრობის ორგანოთა, დაემორჩილა იმ საიდუმლო კომიტეტებს, რომლებიც ხალხისა და თვით მთავრობას ტერრორით უმკლავდებიან. ამ გვარი უწესოება და ანარხია დიდად მოზარალებელია სახელმწიფო წესწყობილებისათვის. ხოლო მთავრობის წარმომადგენელნი თავის დროზე რომ დაჰკვირვებოდნენ ხალხის გაჭირვებას, ან სავსებით შესდგომოდნენ მათდამი მინიჭებულ უფლებათა აღსრულებას, ამისთანა ამბავი არ მოხდებოდა.

5) სამწუხაროდ ასეთივე გულგრილობა მოსჩანს ზედამხედველ ორგანოების მოხელეთა მხრივ სარევოლიუციო მოქმედების აღმოფხვრის დროსაც. ეს მოხელენი გამოეკიდებიან ხოლმე ისეთ მოვლენებს, რომელთაც არავითარი სარევოლიუციო მიზანი არა აქვს, ატეხენ ხოლმე დაუსრულებელ მიწერ-მოწერას და თავისი პირდაპირი დანიშნულება კი—აღმოჩენა მთავრობის მოწინააღმდეგეთა და მათ მოქმედებათა—ავიწყდებათ. ამასობაში სახელმწიფო წესწყობილების მოწინააღმდეგენი ძალას იკრებენ, სარგებლობენ მთავრობის წარმომადგენელთა ცალ-მხრივ გატაცებით და თავის ქადაგებას ყველგან ავრცელებენ. კავკასიის ჟანდარმთა ერთ-ერთ სამმართველოს უფროსი მთელის წლის განმავლობაში გულმშვიდად აღნიშნავდა ხოლმე იმ გარემოებას, რომ ჯარის ერთ-ერთ ნაწილში ვიღაცები სახელმწიფო წესწყობილების საწინააღმდეგო მოწოდებათ ავრცელებდნენ და თან დასძენდა ხოლმე დამნაშავეთა აღმოჩენა ვერ მოხერხდაო. ასეთის გულგრილობის შედეგმა აღარ დაიგვიანა. ახლა იგივე უფროსი იუწყება: ჯარის ამ ნაწილში შესამჩნევი მოძრაობა დაიწყო და თავის მთავრობას პირდაპირი უკმაყოფილებაც კი გამოუცხადა და „ცუდი საჭმელი" მოიმიზეზაო. ამგვარად, რევოლიუციონერებმა იქაც კი მიაღწიეს, სადაც მათ ყოველგვარი გზა დახშული უნდა ჰქონოდათ.

6) აქამდის აუსრულებელი რჩება კავკასიის პოლიციის უფროსისადმი ინსტრუქციის მე-13 §, რომლის აუსრულებლობაც ძრიელ ხელს მიშლის. უმაღლესი მოხელენი მოვალენი არიან დაწვრილებით აუხსნან და განუმარტონ აღმასრულებელ ორგანოებს, თუ რა დროს უნდა მიჰმართონ ხოლმე იარაღს. ეჭვს გარეშეა, რომ კავკასიის ცხოვრების განსაკუთრებული პირობები დაუყოვნებლივ თხოულობს იარაღის ხმარებას იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ იარაღის უადგილო-ადგილას ხმარებაც მცხოვრებთა შორის დიდ უკმაყოფილებას და გულის წყრომას იწვევს და ხალხსა და მთავრობას შორის შუღლსა სთესავს, ამიტომ უფროსებმა უნცროსებს გადაჭრით უნდა განუმარტონ ხოლმე იარაღის ხმარების დრო. ვიმეორებ იარაღი, დაუყოვნებივ უნდა იხმარებოდეს, იქ, სადაც საჭიროა, მაგრამ თუ ამ საჭიროებამ განვლო, ან არა ყოფილა ასეთი საჭიროება—იარაღის ხმარება თვითნებობად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, დამნაშავის დაჭერის დროს, საჭიროა იარაღის ხმარება, მაგრამ თუ დამნაშავე უკვე შეიპყრეს, შეპყრობილის ცემასა და ზედ მეტ შევიწროებას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

მე თვითონ ხელს შევუწყობ იარაღის ხმარებას მაშინ, როდესაც საჭიროა, მაგრამ ამავე დროს სასტიკად მოვეპყრობი თანამდებობის პირთ, თუ იმათ რაიმე თვითნებობა და თავქიფობა გამოიჩინეს.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

27 სექტემბერი.

ვარშავა, 26 სექტემბერი. სტუდენტების კრებამ ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიიღო. ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა შემდეგი წლიდან 8 სავაჟო და 6 საქალებო პირველდაწყებითი სასწავლებელი დაარსოს.

მონტელიონე: გუშინ აქ მიწა იძრა, ხალხი შეშინებულია.

პეკინი.—ჩინეთში პოლიციის სამინისტრო დაარსდა. ეს ზომა იმის შედეგია, რომ ამას წინეთ მოკვლას უპირებდნენ საზღვარ გარეთ გაგზავნილ მოხელეთ.

პეტერბურგი. სამინისტრომ შეიწყნარა უნივერსიტეტების საბჭოთა შუამდგომლობა ებრაელების სტუდენტებად მიღების შესახებ.

ოდესსა. სოფელ დალნიკაში წყალ-დიდობაა. ხალხის მდგომარეობა საშინელია.

ლონდონი.—ბრიტანიის სამხედრო სამინისტროს განუზრახავს საერო ჯარის შედგენა, რომელშიაც 250 ათასი ჯარის კაცი იქმნება. ეს ჯარი ახალშენებში იმსახურებს.

სარატოვი. სამღვდელოების კრებაზე, რომელიც ეპისკოპოს გერმოგენის თავმჯდომარეობით მოხდა, საჭიროდ სცნეს, რომ სამღვდელოებამ სოფელში ხალხს 6 აგვისტოს ბრძანების მნიშვნელობა გააცნოს და საარჩევნო აგიტაციაშიაც დიდი მონაწილეობა მიიღოს, რათა ხალხს სათათბიროში სანდო პირები აარჩევინოს.

პარიზი.—გაზეთი „ჟურ" საფრანგეთის პოლიტიკას არკვევს და აცხადებს, რომ საფრანგეთის ბუნებრივი ინტერესები მოითხოვენ მის დაკავშირებას რუსეთთან და მეგობრობას ინგლისსა და იტალიასთან. რაც შეეხება დანარჩენ სახელმწიფოებს, იმათთან საფრანგეთი ყოველთვის კანონიერებას და მეგობრობას უნდა ადგესო, საფრანგეთი თავის პოლიტიკით არავის არ ემუქრება და სამაგიეროდ მასაც არავინ არ უნდა ემუქრებოდეს. საფრანგეთმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არავისი დასაგმობი მიზანი არა აქვს, რომ იგი ყველა თავის გადაწყვეტილებაში სრული დამოუკიდებელია, საფრანგეთს გარეშე რამე შეტაკება თუ მოხდა, საფრანგეთის ჯარს და ფლოტსაც ერთად ერთი დანიშნულება უნდა ჰქონდეს, ტერიტორიის და პოლიტიკის დამოუკიდებლობის დაცვაო.

ორიოლი. წვრილ კრედიტის შესახებ სხდომაზე საჭიროდ სცნეს, რომ კრებამ საკრედიტო ამხანაგობათა დაარსებაში მონაწილეობა მიიღოს. გადაწყვიტეს იშუამდგომლონ, რომ სახელმწიფო ბანკიდან ამნაირ ამხანაგობებს სესხში 6 პროცენტზე ნაკლები გადახდესთ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სოციალისტები და საერთაშორისო მშვიდობიანობა. ბრიუსელის გაზეთ „პეუპლ"-ში საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატის ვალიანის საინტერესო წერილია დაბეჭდილი. წერილი შეეხება სოციალისტების მნიშვნელობას და გავლენას საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარებაზე. ვალიანი მთელ ქვეყნის სოციალისტებს მოუწოდებს და ურჩევს შეერთდნენ ბრიუსელის სოციალისტურ ბიუროში, რომელიც მშვენიერ და ძლიერ რაზმს შეადგენს მილიტარიზმთან საბრძოლველად. ვალიანი ამტკიცებს, რომ ომსა და მილიტარიზმთან ბრძოლა მხოლოდ საერთო პოლიტიკურ გაფიცვით შეიძლება და სოციალისტებს ურჩევს პოლიტიკური გაფიცვა მოახდინონ ხოლმე იმ სახელმწიფოში, რომელიც გაჰბედავს და ომს გამოაცხადებს.

საფრანგეთის პარლამენტის მეორე დეპუტატმა სოციალისტმა დიუმონმაც უძღვნა ამ საგანს წერილი „ლ'აკსიონ"-ში. დიუმონი განსაკუთრებით საფრანგეთისა და გერმანიის ურთიერთობას შეეხო და ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ ორ სახელმწიფოს შერიგება მხოლოდ დემოკრატიას შეუძლიანო და სხვას არავისაო. ეს ორი სახელმწიფო ახლაც იმიტომ არის გადაკიდებული, რომ გერმანელებს სჯერათ, ვითომ საფრანგეთის ერი მანამდის არ დამშვიდდება, სანამ ელზას-ლოტარინგიას არ დაიბრუნებსო. ფრანგები მშვიდობიანობას უფრო ძვირად აფასებენ, ვიდრე ორ ნაჭერ მიწას — სწერს დიუმონი. — ფრანგებს სჯერათ, რომ დღეს თუ ხვალ ელზასი და ლოტარინგია თავისუფალი წევრები იქნებიან ევროპის თავისუფალ სახელმწიფოთა ფედერაციისა, და ამიტომ მათ დაბრუნებას აღარ ცდილობენ. მაგრამ თუ ზოგჯერ პოლიტიკური ზღვა აღელდება და ომს გვიქადის ხოლმე, ეს ორივე სახელმწიფოს მთავრობის ბრალია და არა ხალხისა. მთავრობას ხშირად იქამდის მიჰყავს საქმე, რომ ომი ადვილი შესაძლებელი ხდება. ომის ასაცილებლად, დიუმონის აზრით, საჭიროა დემოკრატიის შეერთება, შეკვრა; საჭიროა, რომ დემოკრატიამ პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკაში, ან თუ ომი აუცილებელი გახდა— საერთო პოლიტიკური გაფიცვა მოახდინოს და ორივე მებრძოლ მთავრობას ხელ-ფეხი შეუკრას.

მაკედონიის ავტონომია. როგორც ვიცით, საერთაშორისო ჟანდარმერიამ ოსმალეთს ვერაფერი დაათმობინა და მაკედონიას ავტონომია ვერ მიანიჭა. ამ საკითხის შესახებ ეხლა ინგლისის პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს აზრი გამოუცვლიათ: ინგლისელებს უნდათ მაკედონიიდან საერთაშორისო ჟანდარმერია გაიყვანონ, იმის ალაგას ჯარი ჩააყენონ და მაკედონიას ავტონომია ძალით მოუპოვონ. ამბობენ, სხვა სახელმწიფოებიც დაეთანხმებიან ინგლისსაო.

რეფორმები რუსეთში

წრეულ მინისტრთა კომიტეტი მხოლოდ ისეთ საქმეებს გაარჩევს, რომელთა გადადება და დაგვიანება არ შეიძლება. დანარჩენი **საგულისხმო საქმეები გადაეცემა მინისტრთა კაბინეტს**, რომელიც შეიმუშავებს მათ და სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენს (რ. ე.).

◆ უმაღლესმა მთავრობამ სხვადასხვა დაწესებულებებსა და სამინისტროებს გაუგზავნა **ახალი კანონ-პროექტი სამუშაო დღის** შესახებ ნოქრებისთვის და სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის. კანონ-პროექტში ნათქვამია, რომ სრულ-წლოვანთათვის სამუშაო დღე 12 საათს უნდა უდრიდეს, აქედან 2 საათი სადილისთვის და დასასვენებლად უნდა მიეცეს მოსამსახურეს. არასრულ-წლოვანთათვისაც 12 საათია დაწესებული, ხოლო 2 საათის გარდა მათ კიდევ ეძლევათ დრო სასწავლებელში სასიარულოდ. პროექტით ამ კანონის დამრღვევს უნდა გადაჰხდეს ჯარიმა არა ნაკლებ 100 მანეთისა (რ. ვ.).

◆ 20 სექტემბერს პეტერბურგში თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოების დარბაზში კრება ჰქონდა რუსეთის ბიბლიოლოგიურ საზოგადოებას. კრებაზე ე. გერსენმა წაიკითხა **მოხსენება სახელმწიფო სათათბიროს შესახებ**. მოხსენების ავტორმა დაწვრილებით აღნიშნა სათათბიროს ნაკლულევანება, მაგრამ ამავე დროს განაცხადა, რომ ზოგიერთა პროგრესიულ ჯგუფის გადაწყვეტილება—სათათბიროს ბოიკოტი—დიდი პოლიტიკური შეცდომა იქნებაო, რადგან, სულერთია, არჩევანი მაინც მოხდება და ბოიკოტსაც ის მოჰყვება, რომ სათათბიროში რეაქციონერები გაპატრონდებიანო. მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია. ნაფიცი ვექილი მარგულიესი ბოიკოტის მომხრე იყო, მაგრამ ამავე დროს განაცხადა, ამომრჩევლები ავირჩიოთ და თუ დაეტყო, რომ უმეტესობა რეაქციას ერგო, უარი ვთქვათ არჩევანებზე, მაგრამ თუ ამომრჩეველთა უმეტესობა პროგრესისტებს ერგო, სახელმწიფო სათათბიროთი ვისარგებლოთ და ჩვენი მიზნის განსახორციელებლად გამოვიყენოთო. დანარჩენი ორატორებიც მიემხრნენ მარგულიესს, ხოლო ამომრჩეველთა არჩევანზედაც უარი სთქვეს და განაცხადეს: არც ერთმა ნამდვილმა დემოკრატმა სათათბიროში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს, რადგან ეს დაწესებულება არაფრითაც არა ჰგავს რუსეთის ხალხის მოთხოვნილებასაო. (რ. ვ.).

◆ 20 სექტემბერს ხანგრძლივ დასვენების შემდეგ, კობეკოს **კომისიას პირველი** კრება ჰქონდა. კრებას მუდმივ წევრების გარდა დაესწრნენ შვიდი რედაქტორი წარმომადგენელი არარუსულ ჟურნალ-გაზეთისა და ორი საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე—კავკასიისა და ვარშავისა. მთელი კრება არარუსულ პრესის წარმომადგენელთა მოხსენების კითხვას მოუნდა. მოხსენებებში დაწვრილებით არის აწერილი **არარუსულ პრესის საშინელი მდგომარეობა**, რომელიც გაცილებით უფრო აუტანელია, ვიდრე რუსულ პროვინციალურ პრესისა. პოლონელებმა, ებრაელებმა, და ლატიშებმა აღნიშნეს, რომ გაძლიერებულ და ომის დროის წესებით აღჭურვილი მთავრობა განაპირა ქვეყნებში ისე უჭერს ხელს არარუსულ პრესსას, რომ ხშირად „პრავიტ. ვესტ."-დან და ოფიციალურ გაზეთებიდანაც კი არ აძლევს წერილების გადმობეჭდვის ნებას, მაგრამ არც „მშვიდობიანობის" დროს ადგა კარგი დღე ამ პრესსას. მოხელენი და ცენზორები საოცარ

ფელეტონი

მარქსიზმის კრიტიკა.

(ედუარდ ბერნშტეინის წერილიდან *).

ბურჟუაზიული გაზეთები ცდილობენ დაარწმუნონ თავიანთი მკითხველი,—რევიზიონისტების მიმართულება მუშათა პარტიაში მოისპო, არ არსებობსო, და ამასვე იმეორებს სოციალ-დემოკრატების ზოგიერთი გაზეთიც. ამბობენ ჯერ კიდევ არსებობს აქა იქ რამდენიმე რევიზიონისტი, მაგრამ თვით ეს პარტია ამ ჟამად არჩევნების დროს სრულებით არის დამარცხებული და ამიტომ მას აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ზოგიერთის მხრივ სასურველია, რომ ასეთი შეხედულება გავრცელდეს ხალხში: ამით მუშათა პარტიაში მოისპობოდა ყოველივე განხეთქილება და ესეც რომ არ იყოს, მაინც სასურველია, რომ სრულებით გაჰქრეს თვით რევიზიონისტების სახელწოდება, რომელიც მათ მოწინააღმდეგეთაგან არის გამოგონილი. ამ სახელს ხშირად ისეთ რამეებს არქმევენ, რომელთაც ნამდვილ რევიზიონიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს, რის გამოც ცხოვრებასა და მწერლობაშიაც ხშირია ყოველგვარი განხეთქილება და ერთმანეთის გაუგებრობა. რაც უფრო იშვიათად შევხვდება კამათში ეს ორაზროვანი სახელი, მით უკეთესია, მით უფრო იქმნება მოსალოდნელი, რომ ყველა მეტის გულმოდგინეობით მოეკიდება სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკასა და თეორიაში არსებულ საკამათო მხარეებს. განა საკამათო საკითხები გამოილევა როდისმე? განა საფიქრებელია, რომ სოციალ-დემოკრატიულ მიმართულებას და აზროვნებას არაოდეს არ დასჭირდებოდა შეცვლა და შესწორება, დედამიწის ზურგზე რომ არ ყოფილიყო კიდევ რევიზიონისტების უბრალო ხსენებაც? არა, სოციალ-დემოკრატიულ პრინციპებს ცვლილება და განვითარება ეტყობოდა წარსულში და შემდეგშიაც ექმნება, სანამ მუშათა პარტიას სასიცოცხლო ძალა შერჩება.

მართლაც, საკმარისია გადავავლოთ თვალი ყველა იმ კითხვას, რომელიც იმ თავითვე ერთმანეთში აშორებდა სოციალ-დემოკრატიულ მიმართულების ორ ბანაკს,—რევიზიონისტებს და რადიკალებს, საკმარისია დავხედოთ რამდენად შეიცვალა თანდათან ამ კითხვების შინაარსი, რომ დავრწმუნდეთ იმაში, თუ რამდენად შეიცვალა მათ შესახებ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შეხედულება.

ყველა ეს კითხვა შეიძლება ორ ნაწილად გაჰყოს ადამიანმა, შეიძლება ცალკე გავარკვიოთ თეორიული კითხვები და შემდეგ ტაქტიკასაც შევეხოთ... ჩვენ შეგვიძლიან განზე დავტოვოთ ღირებულების შესახები თეორიები, რადგანაც მათ ნამეტანი განყენებული ხასიათი აქვთ, რადგანაც ისინი არ ახასიათებენ რევიზიონისტების ნამდვილ მიმართულებას. აგრეთვე უმნიშვნელოა ამჟამად ჩვენთვის ისტორიულ მატერიალიზმის და კლასთა ბრძოლის საკითხიც, რადგანაც ამაში საკამათო არაფერი არ არის. არც ერთი რევიზიონისტი არ უარჰყოფდა, რომ ეკონომიურ განვითარებას უმთავრესი გავლენა აქვს პოლიტიკაზე, სოციალურ ცხოვრებაზე და ადამიანის აზროვნებაზე; საკამათო იყო მხოლოდ ის გარემოება, თუ რამდენად ძლიერი არის ხსენებული გავლენა, ან რა მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიურ ფაქტორებს ისტორიაში. ეს საკამათო საკითხი დღესაც გადაუწყვეტელი რჩება, თუმცა დღეს აღარ შეგვხვდება ის გამარტივებული ისტორიული მატერიალიზმი, რომლის მოსპობას ცდილობდა რევიზიონისტების კრიტიკა.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სხვა თეორიული კითხვები, როგორიც არის, მაგ. აგრარული საკითხი, ან საკითხი იმაზე, მატულობს თუ თანდათან კლებულობს კაპიტალისტების რაოდენობა, სამრეწველო და პოლიტიკურ კრიზისების საკითხი და საკითხი ხალხის გაღატაკების შესახებ.

აგრარულ საკითხში, მაგ., რევიზიონისტებმა თავის დროზე აღნიშნეს, რომ ევროპის სამრეწველო ქვეყნებში წვრილსა და საშუალო მეურნეობას დიდი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიან მსხვილ წარმოებისთვის და ის აზრი ამჟამად უკვე საყოველთაოდ მიღებულია. არ არსებობდა არც ერთი სოციალისტური პარტია, რომელსაც, თავის პროგრამის გადასინჯვის დროს, ასე თუ ისე არ მიეღოს ხსენებული შეხედულება. აქ საჭიროც არ არის რამე განსაკუთრებულ საბუთების დასახელებით დავარღვიოთ კაუცკის აზრი,—ვითომც სოფლად ხდებოდეს მამულების და წარმოების კონცენტრაცია, მამულების ბანკებში დაგირავებით. ასეთების თქმა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მის მთქმელისათვის შეუძლებელი გახდარა ძველ შეხედულების შერჩენა. *)

ან გავარკვიოთ მეორე საკითხი,—მატულობს თუ კლებულობს კაპიტალისტების რაოდენობა. რევიზიონისტები ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალისტების კლასი რიცხვით იზრდება, მაგრამ კაუცკი ამ აზრს არ ემხრობოდა და, როდესაც რევიზიონისტებმა სტატისტიკურის ცნობებით უტყუარ ჰყვეს, რომ დიდ შემოსავლიანთა რიცხვი, ხალხის დანარჩენ კლასსებთან შედარებით, უფრო მეტის სისწრაფით იზრდება, კაუცკიმ ნამდვილ კაპიტალისტებად დასახა მხოლოდ ისინი, ვინც ფაქტიურად მონაწილეობას იღებს წარმოებაში, ე. ი. უმოქმედო და მოქმედ კაპიტალის განსხვავებას ამოეფარა. სოფლის მეურნეობაზე რომ იყო კამათი, მაშინ ვირამ, ე. ი. უმოქმედო კაპიტალი, საჭირო იყო კონცენტრაციის შესახებ თეორიის გადასარჩენად. აქ კი ეს უმოქმედო კაპიტალი საჭირო არ არის! მაგრამ ამნაირ ხრიკებით შეუძლებელია უტყუარ ფაქტის დარღვევა, რომ კაპიტალისტების რაოდენობა ყველა თანამედროვე სახელმწიფოში თანდათან მატულობს.

გადავიდეთ ახლა კრიზისების თეორიაზე. 1900 წელს მომხდარმა კრიზისმა იმათი იმედები გააცრუა, ვისაც ეგონა, რომ კრიზისები საზოგადოდ თანდათან უფრო ძლიერი იქმნებაო. ვინც უკვირდება თანამედროვე ცხოვრებას, ის ადვილად მიხვდება, რომ ახლანდელმა მრეწველობის წესმა, სხვადასხვა კაპიტალისტის ხელში თავმოყრილმა აუარებელმა სიმდიდრემ და სინდიკატების გამრავლებამ სრულებით ახალი სახე მისცეს კრიზისების საკითხს და რომ დღეს საზოგადოდ არ შეიძლება კრიზისების შესახებ რამე გადაწყვეტილი თეორია წამოვაყენოთ. ერთი კი არის ცხადი, რომ ახლა კრიზისები არც უფრო ხშირია და არც უფრო ძლიერი. ახლა ფულის ბაზარი ისეთი მტკიცე შეიქმნა, დიდ საკრედიტო დაწესებულებათა სიმდიდრე ისეთი განუზომელია, რომ თვით ისეთ მოვლენას, როგორიც იყო მაგალ., რუსეთ-იაპონიის ომი, რომელსაც თითქმის ერთბაშად ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტი ფული დასჭირდა, ბანკებში სარგებელს მხოლოდ $^1/_{10}$ პროცენტი თუ მოემატა.

რაკი შეცდომა არის, ის აზრი, ვითომც ჩვენ დროში კრიზისები უფრო ხშირია და უფრო ძლიერი უნდა გახდარიყოს, ამიტომ თავის-თავად ირღვევა თეორია, რომლის ძალითაც უნდა მოხდეს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ საზოგადოების ცხოვრებაში აუცილებელი ეკონომიური რევოლუცია. მართალია, კაუცკი უარჰყოფს იმას, ვითომც სოციალისტების ძველი თეორია პოლიტიკურ რევოლუციების შესახებ აშენებული ყოფილიყოს ასეთ ეკონომიურ რევოლუციაზე, მაგრამ მე მგონია, რომ აქ საჭირო არ არის კიდევ ერთხელ ჩამოვთვალო მარქსის, ენგელსის, ლიბკნეხტის, ბებელის და თვით კაუცკის ნაწერებიდან ის ადგილები, სადაც ცხადია, რომ ამ ნაწერების ავტორებს ეკონომიური რევოლუცია მიაჩნიათ პოლიტიკურ რევოლუციის უაცილებელ საფუძვლად. თვით კაუცკის ეს აზრი რამოდენიმეჯერ გაუმეორებია პოლემიკაში და მართალიც იყო, რადგანაც ასეთი შეხედულება შეეფერება ისტორიულ მატერიალიზმის მოძღვრებას. ამ შეხედულობის მიხედვით, შეიძლება ბურჟუაზიულ საზოგადოებიდან სოციალისტურ საზოგადოების შექმნა იდეათა გავლენის გარეშე, შეიძლება ამ განვითარებას ეკონომიურ პირობების ერთნაირი დარღვევაც მოჰყვეს და ამისი დამამტკიცებელი საბუთი სწორედ რევიზიონისტებმა წამოაყენეს. სოციალურ რევოლუციის სწავლა თუ მისტიური რაღაცა არ არის, იმ შემთხვევაში მას, ისტორიულ მატერიალიზმის მიხედვით, საფუძვლად სჭირია ეკონომიური რევოლუცია.

კაუცკი პირველად ამ კავშირს არ უარჰყოფდა, შემდეგ, როდესაც რევიზიონისტები გამოჩნდნენ, მან უარჰყო იგი. წრეულს კი ცდილობს რევოლუციების თეორიას ისევე თავისი საფუძველი უნახოს. მისი დამტკიცების მეთოდი აქაც ჩვეულებრივია და მის მსჯელობის დამახასიათებელი: ისეთ რასმე იტყვის თავის მოწინააღმდეგის ნათქვამად, რაც მოწინააღმდეგეს არაოდეს არ უთქვამს, და ფაქტებს ერთმანეთშიაც ურევს. ამბობს, მაგ. რევიზიონისტები ოთხმოც-და-ათიან წლებში ამტკიცებდნენ, აწი პოლიტიკური რევოლუციები აღარ არისო მოსალოდნელი, და შემდეგ ამ თავის ოცნებისაგან შექმნილ აზრს არღვევს 1896 წლის არჩევნების დასახელებით და რუსეთის ახლანდელ მოძრაობის ხსენებით. პირველი მოვლენა ენგელსმა იწინასწარმეტყველა 1885 წელს და მეორე კი ამტკიცებს ენგელსისავე შეხედულებას, რომ ევროპაში რევოლუციები ხდება ყოველ 15—18 წელიწადში ერთხელაო.

ენგელსი, ამ აზრის გამოთქმის დროს, ასახელებდა 1830 წ., ივლისის რევოლუციას, 1818 წ. რევოლუციას, 1866 და 1870 წწ. ომიანობას და 1870 წ. საფრანგეთში მონარქიის მოსპობას. მართალია, მას ავიწყდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიც იყო ყირიმის ომი (1855 წ.) და იტალიის ომიანობა (1854—60 წწ.), მაგრამ მაინც საყურადღებო იყო, რომ ამ მთელი 1830, 1848, 1870 წლებში სახელმწიფო წესწყობილება იცვლებოდა რევოლუციის წყალობით, ან რევოლუციებთან 1890 წ. მომხდარ არჩევნებში სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება როგორ უნდა დაადაროს ადამიანმა, როგორ უნდა სთქვას, რომ ეს გამარჯვებაც რევოლუცია არისო. მართალია, ეს გამარჯვება და მას შემდეგ ბისმარკისაგან სამსახურის დატოვება,—ორივე მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგრამ მათ მაინც ვერ დავარქმევთ რევოლუციას. რომ თვითონ ენგელსი მათ რევოლუციად არ თვლიდა, ამას ცხად ჰყოფს მისი საკუთარი წერილი, მიწერილი ამ არჩევნების შესახებ ლაფარგთან, სადაც იგი წინასწარმეტყველობს, რევოლუცია 1898 წ. მოხდებაო,—თუმცა ისიც უნდა სთქვას ადამიანმა, რომ არც ეს წინასწარმეტყველება გამართლებულა.

რაზე ამყარებდა ენგელსი თავის წინასწარმეტყველებას? არავითარი ყურადღება რომ არ მიექცია მას იმ რიცხვებისთვის, რომელიც ზევით

---

*) ეს წერილი დაბეჭდილია გერმანულ ჟურნალის „ს.. მონატს ჰეფტეს" უკანასკნელ ნომერში.

*) თავის წიგნაკის მესამე გამოცემაში, რომელიც ახლახან გამოვიდა ბერლინში, კაუცკიც ცოტაოდნად სცვლის თავის წინანდელ შეხედულებას. წინად, მაგ., იგი ამბობდა „შეუძლებელია ხელოსნობამ და სოფლის წვრილმა მეურნეობამ ქიშპობა გაუწიოს მსხვილ მრეწველობასო". ახლა კი სოფლის წვრილ მეურნეობის შემდეგ უმატებს სიტყვებს,—„მიწის შემუშავებაშიო" და „ქიშპობას ვერ გაუწევსო"-ს მაგიერად ამბობს: „ტეხნიკურად ვერ გაუთანასწორდება." ამას გარდა წინადადებაში: „ეს განვითარება დასრულდება (ცალკე და კაპიტალისაგან დამოუკიდებელ) წვრილ მრეწველობის მოსპობით". ის სიტყვები, რომელიც აქ ფრჩხილებშია ჩასმული, კაუცკიმ შემდეგ ჩაუმატა. ყველა ეს ცვლილება დიდი არ არის, მაგრამ მათ მაინც თავისი მნიშვნელობა აქვთ,—ეს ცვლილება ამტკიცებს, რომ ციხე თანდათან ინგრევა.

თვითნებობას იჩენს, და ხშირად ამა თუ იმ წერილის დაბეჭდვა ან დაჭერა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განწყობილებაშია მოხელე ცენზორი რედაქტორთან, ან გამომცემელთან. ხშირად ფართო პროგრამიან გაზეთებში ნაკვესებისა, დეპეშებისა და ახალ ამბების მეტს ვერაფერს ნახავთ, რადგან ცოტად თუ ბევრად ორიგინალური და გაბედული წერილი ცენზორის წითელ მელნის მსხვერპლი ხდება.

ღამის პირველ საათზე რედაქტორებმა გაათავეს აუარებელ საარაკო ამბების სიის კითხვა არარუსულ პრესსის ისტორიიდან. კრება 22-სთვის გადაიდო. ამ დღეს ილაპარაკეს საცენზურო კომიტეტების წარმომადგენლებმა—გაკკელმა და შახოვსკოიმ. კომისია თავის საქმეს ნოემბრის გასულს დაამთავრებს (ს. ო.).

ახალი ამბავი

კვირას, 25 სექტემბერს, ქალაქის სხვადასხვა ადგილებში, საღამოს 7½ საათზე, **ვიღაც უცნობებმა რამდენიმე ყუმბარა ისროლეს.** სამი ყუმბარა ისროლეს ორთაჭალაში, კაზაკთა მე-2 პოლტავის პოლკის მახლობლად. დაიჭრა ერთი კაზაკი, ტფილისის პოლკის ორი ჯარის კაცი და ერთიც დრაგუნის პოლკისა. დაჭრილები სამხედრო საავადმყოფოში მიიყვანეს. ყუმბარამ რომ იფეთქა, კაზაკები კაზარმიდან გამოცვივდნენ და ყუმბარების მსროლელებს თოფი დაუშინეს და დასჭრეს რამდენიმე ქუჩაში მოსიარულე კაცი. ყუმბარები ესროლეს აგრეთვე ვოდოვოზნი ქუჩაზე, სადაც კაზაკთა ერთი ასეული სცხოვრობს. 4 ყუმბარამ იფეთქა კაზარმების ალაყაფის კარებთან და მძიმედ დაიჭრა სამი კაზაკი. მსროლელნი გაიქცნენ და თან რევოლვერებს ისროდნენ, რითაც დასჭრეს კიდევ ერთი კაზაკი. თოფების სროლის დროს დაიჭრა, ერთი ადგილობრივი მცხოვრები, რომლის ვინაობა ჯერ არ იციან; მის გვერდით გატენილი ყუმბარა იპოვნეს. დაიჭრა აგრეთვე, სასიკვდილოდ, პასტორი მიულლერი, რომელიც ამ დროს ქუჩაში მიდიოდა. ამავე დროს სახაზინო თეატრის პირდაპირ ტრამვაის ვაგონის ქვეში პეტარდამ იფეთქა და ანანოვის სახლიდან ქუჩაში ცხენით მიმავალ კაზაკებს რევოლვერების სროლა დაუწყეს. კაზაკებმაც სროლითვე უპასუხეს. აქ მძიმედ დაიჭრა ბ. ბოიარსკი (გარდაიცვალა 26 სექტემბერს) ყუმბარების აფეთქების ხმაზე ჯარების უფროსის კონვოის კაზაკები გამოცვივდნენ ერმოლოვის ქუჩაზე. აფიცერმა უბრძანა, კაზარმებში შესულიყვნენ. როდესაც კაზაკები ალაყაფის კარებში შევიდნენ, ვიღაცამ ყუმბარა ესროლა. მოკლულ იქმნა ერთი და დაიჭრა 11 კაზაკი. ალაყაფის კარებთან ქვა-ფენილი მთლად დაგლეჯილია. აქვე დაიჭრა სათადარაგო ჯარის კაცი და მისი მცირე წლოვანი შვილი. გარეშეთაგან დაიჭრნენ: ოვაკიმ სოლომონიანცი, არტემ ქასაბოვი, ალექსანდრე ჰარმაზანოვი, ზაქარია კოკოლაშვილი, კარაპეტ გრიქუროვი, სარქის ხარაზოვი, მიხეილ პარაჯანოვი და სისაკ სააკოვი. პასტორი მიულლერი, გარდაიცვალა. სხვათაშორის, ოთხი დაჭრილი კაცის ვინაობა არ იციან. ვოდოვოზნი ქუჩაზე ორი გატენილი ყუმბარა იპოვნეს, რომელნიც არ აფეთქებულა. ორთაჭალაში დაიჭირეს ყუმბარის მსროლელი ავაქ არუშანოვი.

◆ ტფილისის გუბერნიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების სიგანგებო კრება. გუშინ პირდაპირ გამგე კომიტეტის წევრთა არჩევნებს შეუდგა კომიტეტის თავმჯდომარედ კრებამ ერთხმად აირჩია კნ მარ. ვახ. ჯამბაკურ-ორბელიანისა. კომიტეტის წევრებად კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ: ვ. რ. ყიფიანი (39—3), ალ. სარაჯიშვილი (33—10), ივ. ზურაბიშვილი (27—16), [illegible]. ყანჩელი (31—11), ნ. ცხვედაძე (31—11) და ნ. ელიავა (22—21), ბ. ელიავამ უარი განაცხადა. შემდეგ კრება შეუდგა გიმნაზიის რეორგანიზაციის პროექტის შემმუშავებელ კომისიის წევრთა არჩევანს. ბარათებით ამორჩეულ იქმნენ: პ. გოთუა, პ. სურგულაძე, ი. ღულაძე, ვ. რცხილაძე, ი. გოგებაშვილი, ი. გამყრელიძე და ალ. მდივანი. სხვათაშორის, ამ კომისიაში მონაწილეობას მიიღებს გიმნაზიის მოწაფეებისაგან სამი წარმომადგენელი და კომიტეტისა და სკოლის პედაგოგიურ საბჭოს რამდენიმე წევრნი. სარევიზიო კომისიაში, რომელმაც უნდა განიხილოს კომიტეტის მოღვაწეობა, არჩეულ იქმნენ: გ. რცხილაძე, ექ. გაბაშვილი და ალ. დიასამიძე. სკოლის შენობის შემოსავალ-გასავლის სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ე. ნ. ჯორჯაძე, ნ. ქურდიანი და ნ. დეკანოზიშვილი.

◆ კავკასიის ნამესტნიკის **საბჭოში საერობო კრება მოხდება** არა უადრეს 1 დეკემბრისა, რადგანაც საგუბერნიო კრებებმა დროზე ვერ წარმოადგინეს თავიანთი ანგარიშები.

◆ „ცნ. ფურ.“ სწერენ: ბაღდადის ბოქაულს მოსვლია სოფ. უხუთიდან ამბავი, ვითომ იქ შეკრებილიყვნენ აგიტატორები, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ ხალხზე. ამათ შესაპყრობად ბოქაულს გაუგზავნია პოლიციის ერთი ურიადნიკი და 6 კაზაკი, რომელთაც ღამე უხუთში გაუთევიათ და მეორე დღეს დილას წამოუყვანიათ სოფლის მამასახლისი და წამოსულან. **გზაზე ვენახებიდან სროლა დაუწყიათ** და მოუკლავთ ერთი კაზაკი და დაუჭრიათ ურიადნიკი და ორი ცხენი. კაზაკებსაც სროლით უპასუხნიათ და ერთი მოუკლავთ და ორი მძიმედ დაუჭრიათ. საქმის გამოსაძიებლად უხუთში ქუთაისის მაზრის უფროსი თავ. დადეშქელიანი წასულა. ამ ამბავმა მთელი ქუთაისი აალაპარაკა.

◆ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ეს მეორე კვირაა, **რაც უგზო-უკვლოდ დაიკარგა** მე-10 საპოლ. ნაწილში მცხოვრები ნიკოლოოზ იაგორის ძე ხარაზოვი. ხარაზოვი 27 წლისაა, შუატანისა, ქერა.

◆ გუშინ, 27 სექტემბერს, დაიწყო კრება ქართლ-კახეთის სამღვდელოების იმ წარმომადგენელთა, რომელნიც აირჩია კრებამ სანთლის ქარხნის საქმის სარევიზიოდ.

◆ სოფ. დიღმიდან (ტფილ. მაზრა) გვატყობინებენ: ყაჩაღთა ბრბო თავს დაესხა ადგილობრივ მემამულეთ გაბაშვილებს, შიოევს და ყავრიშვილებს. პირველს წაართვეს 45 სული საქონელი, მეორეს რაც, რომ ებადა, მესამეს იარაღი. მაშველად გაიგზავნა ბოქაული ტანენბერგი, კაზაკებით.

◆ გუშინ, 27 სექტემბერს, საქართველოს ექსარხოსს წარუდგა იმერეთის სამღვდელოების დეპუტატი—მღვდლები ღამბაშიძე, წერეთელი და ფოფხაძე. ესევე დეპუტაცია გუშინვე წარუდგა კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს სულთან-კრიმ-გირეის და შესჩივლეს თავიანთი გაჭირებული მდგომარეობა.

◆ ხმოსანმა ა. ნ. **მილოვმა ქალაქის გამგეობაში** სამსახურიდან გადადგომის შესახებ განცხადება შეიტანა.

◆ ორშაბათს, 26 სექტემბერს, **დროებით გენერალ-გუბერნატორს წარუდგნენ** ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ა. ს. ბაზოვი, ი. მ. დოლუხანოვი, ა. ი. ხატისოვი, გ. მ. თუმანოვი და ა. მ. არღუთინსკი დოლგორუკოვი და ხმოსანთა-მიერ წარდგენილ პირობების გამო მოლაპარაკება გამართეს. გენერალ-გუბერნატორმა გადაჭრით უთხრა, რომ თქვენ მიერ წამოყენებული პირობები, საომარ წესების ახსნისა, კრებებისა და სიტყვის თავისუფლების, პიროვნების ხელუხლებლობის და 29 აგვისტოს ინციდენტზე გამოძიების დანიშვნის შესახებ, შეწყნარებული ვერ იქნებაო.

◆ დროებით გენერალ-გუბერნატორმა **შილიაიმ მოსთხოვა ქალაქის გამგეობას** 3 დღის განმავლობაში წარმოადგინეთ სია სამსახურიდან გადამდგარ ყველა ხმოსნებისა, გამგეობისა და სხვადასხვა კომისიის წევრთაო.

◆ ხმოსანმა გ. მ. თუმანოვმა გამგეობას წარუდგინა **განცხადება სამსახურიდან გადადგომის** შესახებ და სთხოვა დროთი დანიშნონ ახალი არჩევნები, რომ ქალაქის საქმეები მცხოვრებთა მიერ არჩეულ კაცების ხელში გადავიდეს და არა ადმინისტრაციის ხელშიო.

◆ სიღნაღის მაზრაში შემდეგი ამბები მოხდა: 1. სოფ. მწარეწყალში (სიღნაღ. მაზრა) გ. კოტაშვილს და ს. ნონიაშვილს თავს დაესხნენ შეიარაღებული კაცები და 12 სული მსხვილ-ფეხა საქონელი წაართვეს; 2. სოფ. თათრიანთ ბაგაში უცნობმა კაცებმა გარეკეს საქონელი ს. ნიკოლაიშვილისა. ქურდებს დაედევნენ. ასტყდა სროლა, რომლის დროსაც 1 ქურდი დაიჭრა.

◆ 25 სექტემბერს მომხდარ თოფის სროლის დროს, ქაშვეთის ეკკლესიის შენობაში მოთავსებულ მერძევის წვერაძის ცოლი ელენე ტყვიით სასიკვდილოდ დაიჭრა.

◆ ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებმა სათასაზოვმა და სელივანმა გუბერნატორთან განასაჩივრეს ამ დღეებში მომხდარი მოქალაქეთა არჩევნები, როგორც უკანონო.

ქუთაისის საერობო სათათბირო.

15 სექტემბერს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ს. დ. წერეთლის თავმჯდომარეობით, დაიწყო საგუბერნიო სათათბიროს კრება, რომელსაც 35 წარმომადგენელი დაესწრო.

მდივნად არჩეულ იქმნა ი. ძ. მეუნარგია.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას, შეუდგეს წარმომადგენელთა ვექილობების შემოწმებას.

ბ-ნ კვიკვაძის წინადადებით კრებამ, სანამ მორიგ კითხვების განხილვას შეუდგებოდენ, ფეხზე წამოდგომით პატივი სცა 29 აგვისტოს ტფილისში მომხდარ სამწუხარო ინციდენტის უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნას. ამასთანავე, ბ-ნ ებანოიძის წინადადებით, კრების უმეტესობამ პროტესტი გამოუცხადა ტფილისის პოლიციის მოქმედებას და ზიზღი იმ ადმინისტრაციას, რომელიც გახდა მიზეზად ხალხის უდანაშაულო ამოხოცვისა.

ბ-ნი ებანოიძე საჭიროდ სთვლის, რომ კრებაზე მოხსენებათა წერა და კამათი უსათუოდ ქართულად სწარმოებდეს.

გ. ფ. ზდანოვიჩი უმჯობესად სცნობს, რომ ყველას მიეცეს უფლება იმ ენაზე ილაპარაკოს, რომელიც უფრო ეხერხება, მით უმეტეს, რომ ზოგიერთმა ქართული ლაპარაკი სულ არ იცის.

ს. რობაქიძე განაცხადებს, აქ მყოფი ხალხის წარმომადგენელნი ყველანი ქართველები არიან და ქართულად ლაპარაკობენ. რაც შეეხება მთავრობის წარმომადგენელთ, რომელთაც ქართული ენა არ იციან, ისინი ერთი, რომ—ნაკლებ დაინტერესებული არიან გასარჩევ კითხვებით და—მეორე—თუ სურთ, შეუძლიანთ თარჯიმანი იყოლონ. ჩემის ფიქრით, საჭიროა პროტესტი გამოვუცხადოთ იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელთაც კრებაზე ისეთი წარმომადგენელი გამოგზავნეს, რომლებმაც ქართული არ იციან, მით უმეტეს, რომ მათ განკარგულების ქვეშ ქართულის მცოდნენი ბევრნი არიანო.

წაკითხულ იქმნა ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, ლეჩხუმისა და ზუგდიდის სამაზრო კრებეზე არჩეულ წარმომადგენელთა სიები და განხილულ იქმნა მათი ვექილობები, რომელნიც კანონიერნი აღმოჩნდნენ.

შემდეგ კრება შეუდგა სამაზრო ოქმების კითხვას.

ს. რობაქიძე თხოულობს შეტანილ იქმნეს ოქმებში, რომ ის პროტესტს უცხადებს იმ თავად-აზნაურთა წინამძღოლების მოქმედებას, რომელთაც ქართულადაც არ წარმოადგინეს სამაზრო სათათბიროების ოქმები და მოხსენებანი.

რამდენისამე ოქმის წაკითხვის შემდეგ, სხდომა საღამოს 6 საათისათვის გადაიდო.

საღამოს სხდომის დაწყებისათანავე თავჯდომარემ წინადადება მისცა კრებას ამოერჩია თარჯიმანი, რომელსაც უნდა ეთარგმნა მთავრობის წარმომადგენელთათვის ორატორების მიერ ქართულად წარმოთქმული სიტყვები.

ს. რობაქიძე იმ აზრისაა, ჩვენი სხდომები რომ არ გაჭიანურდეს ერთისა და იმავე სიტყვების ორჯერ განმეორებით, საჭიროა ვთხოვოთ ბ-ნ გუბერნატორს, სხდომებზე ისეთი წარმომადგენელნი გამოგზავნონ, რომელთაც ქართული იციანო.

ი. ს. ფანცხავა, გრ. ი. გველესიანი, ბ-ნი ებანოიძე და სხ. ეთანხმებიან ბ-ნს რობაქიძის აზრს.

გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი ბ-ნი პრინცი განაცხადებს, მე სრულიად უცხოდ არ ვსთვლი თავს ადგილობრივ მცხოვრებლებთან, რადგან 40 წლის განმავლობაში, ქუთაისში ყოფნის დროს, მე მათ ძლიერ დავუახლოვდი და შევეთვისე; გარდა იმისა, რომ მე მთავრობისგან ოფიციალური მონდობილობა მაქვს, თვითონ მეც დაინტერესებული ვარ იმ კითხვებით, რომელიც შეეხება ჩვენის საზოგადოების ჭირ-ვარამს, ამიტომ უსამართლობა იქმნება წამართვათ მე საშუალება, რომ გავიგო ის, რაც ამ საზოგადოების შესახებ კრებაზე ილაპარაკებენ.

ხმა საზოგადოებიდან: „თუ თქვენ ჩვენი საზოგადოების ჭირ-ვარამი გაინტერესებდეთ, ორმოცი წლის განმავლობაში ქართულ ენის შესწავლას კი მოახერხებდით“.

თავმჯდომარე უხერხულადა სთვლის, რომ ოფიციალურად სთხოვოს ბ-ნს გუბერნატორს სხვა პირები დანიშნეთ წარმომადგენლებადო; ისე კი ლაპარაკის დროს ვეტყვი საზოგადოების სურვილსო.

16 სექტემბერს კრება ქალაქის თეატრში დაიწყო. კრებას დიდძალი გარეშე საზოგადოება დაესწრო. კრების დაწყებისთანავე თავჯდომარემ თავ. ს. დ. წერეთელმა მოახსენა კრებას, რომ ბ-ნმა ქუთაისის გუბერნატორმა და ქუთაისის მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსმა შეიწყნარეს ჩვენი შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ კრებაზე წარმომადგენლებად გამოგზავნონ ქართული ენის მცოდნე პირნი.

დამსწრეთა ერთი ნაწილი ითხოვს, რომ გარეშე პირთაც მიეცეს ხმის უფლება კრებაში, მაგრამ თავჯდომარემ ეს შეუძლოდ სცნო.

ბ-ნი ზდანოვიჩი ამბობს, რომ კრებაზე ხალხია მისული და საჭიროა მას ლაპარაკის ნება მიეცეთო. ჩემი ფიქრით, ეს შემცდარი აზრია, აქ მე ვერავითარ ხალხს ვერ ვხედავ. აქ ხალხი კი არა, შემთხვევით შეკრებილებია. გარდა ამისა, აქ შეკრებილან ხალხის მაგიერ არჩეული წარმომადგენელნი, რომელთაც ხალხის მიერ უნდა ილაპარაკონ და დაიცვან ამომრჩეველთა ინტერესები. არსად არ გაგონილა, რომ წარმომადგენელთა კრებაზე თვითონ ხალხსაც მიეღოს მონაწილეობა. თუ ჩვენ გარეშე საზოგადოებას ხმის უფლება მიეცით, ადვილად შეიძლება, ამა თუ იმ პარტიამ თავის მომხრეები მიიყვანოს კრებაზე, ძალა დაატანოს წარმომადგენლებს და შეაფერხოს აღძრულის კითხვების დამშვიდებით გარჩევა. ყოველ განათლებულ სახელმწიფოში შემუშავებულია დისციპლინა, რომელიც ჩვენთვისაც სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს. ამიტომ, აქ დამსწრე საზოგადოებამ ძალა არ უნდა იხმაროს ხალხის მიერ ამორჩეულ წარმომადგენლობის უფლებაზე და ხელი არ უნდა შეუშალოს აღძრულ კითხვების დამშვიდებით განხილვას.

ბ-ნ ზდანოვიჩის სიტყვამ საზოგადოებიდან რამდენიმე მწვავე შენიშვნა გამოიწვია. საზოგადოების ერთმა წევრთაგანმა მეორეს სრულიად დაუმსახურებლად ჯაშუში უწოდა, რომელსაც უკანასკნელმა ყურადღებაც კი არ მიაქცია; ერთმა ყმაწვილმა რევოლვერიც ამოიღო ჯიბიდან და სცენისაკენ რომ აპირებდა სროლას, უცბად მეორემ ხელი სტაცა და ტყვია ჭერს მოხვდა. ტყვიამ ცოტათი ხელი დაუშავა მსროლელსა და თვალი ხელის მტაცებელს. ამ გარემოებამ მთლად არია საზოგადოება, რომელიც თეატრიდან თავზარდაცემული გარბოდა. თავმჯდომარე თუმცა ბევრს ეცადა, მაგრამ წესიერების აღდგენა შეუძლებელი შეიქმნა და იძულებული გახდა სხდომა შეეწყვიტა.

17 სექტემბერს, კრების დაწყებისათანავე, თავმჯდომარემ გაახსენა კრებას წინა დღით თეატრში მომხდარი უწესობა, რომლის წყალობით კინაღამ ერთი უბედურება არ დატრიალდა, და სთხოვა საზოგადოებას მეტი წესიერება დაეცვა და ხელი არ შეეშალა წამოყენებულ კითხვების გულდადებით განხილვისათვის.

ბ-ნმა მ. გობეჩიამ წინადადება მისცა კრებას, რომ მწუხარება განაცხადოს 16 სექტემბერს თეატრში მომხდარ ინციდენტის გამო და თავისი ზიზღი და გულის წყრომა გამოუცხადოს იმ პირს, რომელმაც რევოლვერის სროლით კინაღამ უბედურება მოახდინა და მასთან საქმესაც ხელი შეუშალაო.

კრებამ ერთხმად მიიღო ბ-ნ გობეჩიას წინადადება.

გ. ი. გველესიანმა მოითხოვა კრებას დაეგმო ბ-ნ პატრიძის საქციელი, რომელმაც სხვისი პატიოსნებისა და კეთილი სახელის ცუდად ხსენებით თეატრში არეულობა მოახდინა და კრების შეწყვეტის მიზეზად გახდაო (გ. ლ. ქორქაშვილს ბ-ნმა პატრიძემ ჯაშუში უწოდა).

ბ-მა პატრიძემ თავმჯდომარის ნებართვით განმარტა ინციდენტის ფაქტიური მხარე, თავისი სიტყვა უკანვე წაიღო, მწუხარება განაცხადა უნებურად წამოსროლილ სიტყვის გამო და საზოგადოების თანადასწრებით ბოდიში მოიხადა.

გრ. ი. გველესიანი. როგორც ოქმებიდან სჩანს, ყველა სამაზრო სათათბირო თხოულობს დემო-

---

გვაქვს დასახელებული, მაინც შეეძლო ეფიქრა, რომ ყოველ 15—18 წელს ცხოვრებაში ახალი თაობა გამოდის, რომელსაც ცხოვრების არსებული პირობები არ აკმაყოფილებს და რომელსაც აღარ აშინებს მამების დამარცხება; რომ ამ დროს განმავლობაში ძველი სისტემა ცვდება, ძველი მეთაურები მოხუცდებიან და შორდებიან ცხოვრებას, რომ ცხოვრებაში ჩნდება ახალი წინააღმდეგობა, რომ ამ წინააღმდეგობას მოჰყვება განხეთქილებაც და რომ ამათ თანდათან პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეთი ნიადაგი მოჰყვება, რომელიც ხელს უწყობს ყოველგვარ რევოლუციებს. მაგრამ აქედან მხოლოდ იმ აზრის გამოყვანაა შესაძლო, რომ ცხოვრებაში ყველაფერი [illegible]ცვლება, და ამას ხომ ბურჟუაზიული რადიკა[illegible]ებიც არ უარჰყოფენ. აქ გარკვეული არაფერია, [illegible] ნახსენებია მხოლოდ პოლიტიკური რევოლუ[illegible], რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სოციალურ [illegible]რების შეცვლა, მაგრამ ეს შეცვლა მას არ [illegible]ება აუცილებლად. ეს არის ფაქტების გა[illegible]ება და არა თეორია.

[illegible]რამ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია [illegible]ემოება, რომ 1890 წ. არჩევანთა შედეგის [illegible]ება 1830, 1848 და 1870 წწ. რევოლუ[illegible]თან თვით კაუცკის ძალიან ამტყუნებს. კა[illegible] ცდილობს დაარღვიოს იმათი აზრი, ვი[illegible], მისი თქმით, გამოუცხადებია, აწი პოლი[illegible]იკური რევოლუციები არ იქმნებაო. მართალია, იგი არავის არ ასახელებს, მაგრამ მის ნაწერიდან მაინც ცხადია, რომ მას სახეში მე ვყევარ. მართლაც, „ოთხმოცდაათიან წლების მეორე ნახევარში“ მე მიწერია იმაზე, თუ რამდენად მოსალოდნელია რევოლუციები. მაგრამ დაადარეთ ერთი ჩემი ნაწერი იმას, რასაც კაუცკი ამბობს. აქ მაშინდელ ჩემ ნაწერიდან რამოდენიმე ადგილს მოვიყვან.

„ეკონომიურ განვითარების წყალობით,—ვწერდი მე მაშინ,—ჩვენთვის ახლა წინანდებური ეკონომიური კრიზისები არ არის მოსალოდნელი და ამიტომ არც უნდა ვიქონიოთ იმედი ამ კრიზისების საშუალებით რამე ძირითადი ცვლილების შემოტანისა სახელმწიფოში... ამიტომ სოციალ-დემოკრატია არ უნდა ელოდეს იმას, რომ არსებული ეკონომიურ წარმოების სისტემა შეიცვლება რამე დიდ და საზოგადო კრიზისის გავლენით“.

„მე ვეწინააღმდეგები იმ აზრს, ვითომ მალე მოსალოდნელი ყოფილიყოს ბურჟუაზულ საზოგადოების დამხობა და ვითომ სოციალ-დემოკრატიამ თავისი მოქმედება უნდა დაამყაროს ამ დამხობის იმედზე. ამას ახლაც გავიმეორებ... რამდენად უფრო დემოკრატული ხდება თანამედროვე სახელმწიფო წესწყობილება, იმდენად უფრო მცირდება დიდ პოლიტიკურ რევოლუციების შემქმნელი მიზეზები, ეს რევოლუციები მით უფრო იშვიათი ხდება“.

ამნაირად ცხადია, რომ მე ვამტკიცებდი სწორედ იმას, რომ დიდი ეკონომიური რევოლუცია არ არის მოსალოდნელი და ამას გარდა საზოგადოდ ვამბობდი, რომ დემოკრატულ სახელმწიფოში უფრო ძნელი მოსალოდნელია პოლიტიკური რევოლუცია. ამ ჩემ პირველ აზრის შესახებ კრინტსაც აღარ სძრავს არავინ და, თუ ვისმე უნდა მეორის დარღვევა, იმისათვის აუცილებლად საჭირო ხდება იმის დამტკიცება, რომ შვეიცარიაში ან თანამედროვე საფრანგეთში, ინგლისსა და ნორვეგიაში, ისეთივე პოლიტიკური რევოლუციებია მოსალოდნელი, როგორც ავსტრიისა, ოსმალეთსა ან რუსეთში. კაუცკი გერმანის მუშათა პარტიისაგან კანონიერის გზით, დემოკრატულ საარჩევნო უფლების საშუალებით, შექმნილ გამარჯვებას ისეთ რევოლუციებს ადარებს, როგორიც იყო ინგლისის რევოლუცია, და ამასთანავე კი გვითითებს რუსეთზე, სადაც თვითმპყრობელი წესწყობილება ირღვევა ერთბაშად. დამტკიცებაც ასეთი უნდა!

გაღატაკების თეორიის შესახებ ხან იმას ამბობდნენ, რომ იგი თვით მარქსმა დაარღვიაო, ხან კიდევ ამტკიცებდნენ, რომ ამ თეორიას ახლაც არ დაჰკარგვია თავისი მნიშვნელობაო, ხან ამბობდნენ, რომ ამ თეორიას სახეში აქვს შედარებითი გაღატაკება, ხან კი ფაქტიურ გაღატაკებას ასახელებდნენ. ამნაირი წინააღმდეგობა აუცილებლად ხდიდა ამ თეორიის უკეთესად გარკვევას. მაგრამ ერთია ცხადი: გაღატაკების თეორია თუ მივიღეთ, უნდა დავამტკიცოთ, რომ ცხოვრებაში ფაქტიური გაღატაკება შემოდის. შედარებითი გაღატაკება უაზრობაა. შეიძლება ადამიანი სხვებთან შედარებით წინანდელზე ნაკლებ შემოსავალს იღებდეს, შეიძლება მისი ცხოვრების პირობები ისევ სხვებთან შედარებით უარესი შეიქმნეს, მაგრამ შედარებით გაღატაკება კი შეუძლებელი, წარმოუდგენელი რამეა. ფაქტიურ გაღატაკების დასამტკიცებლად კი დღემდის არავითარი საბუთი არ მოუტანიათ, პირიქით, თანდათან მეტი მომხრე უჩნდება რევიზიონისტების შეხედულებას, რომ სოციალიზმის დამყარება მუშა-ხალხის კეთილდღეობის მომატებით არის შესაძლო და არა მუშების გაღატაკებით.

რევიზიონისტები არ დამარცხებულან. პირ-იქით ფაქტიური გამარჯვება ყოველგან მათ ხელში არის. ფაქტები და ცხოვრების სინამდვილე მოითხოვენ თეორიულ რევიზიონიზმს და მართლაც შარშან სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საერო კრებაზე რომ მოვითხოვე საპარტიო პროგრამაში თეორიულ ნაწილის გადასინჯვა,—პრინციპიალურად ამის წინააღმდეგი აღარავინ გამოდგა, ამბობდნენ მხოლოდ, რომ ჯერ-ჯერობით ამ გადასინჯვას ნუ დავიწყებთო. ბებელმა წინადადება მოგვცა—მოგვეცადა, სანამ შევიტყობდეთ იმ ფაქტებს, რომელსაც წლევანდელი ხალხის აღწერა გამოამჟღავნებს. და მეც ამისი თანახმა გავხდი. მე არც მიმაჩნია მაინცდამაინც საჩქაროდ პროგრამაში თეორიულ ნაწილის ახლავე გადასინჯვა და შეცვლა, ვინაიდან პარტია თავის მოქმედებაში ხშირად გვერდს უხვევს თავისავე თეორიას და ცხოვრების არსებულ პირობების მიხედვით იქცევა.

მართალია, მუშათა პარტიის სხვადასხვა კრებაზე მიიღეს ტაქტიკა, რომელსაც რევიზიონისტები უარჰყოფდნენ. მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ პარტიის შეხედულება შემდეგშიაც არ შეიცვლება, ან რომ იგი ამჟამად შემცდარი არ არის. გამოცდილება გვიჩვენებს ხოლმე, კარგია, სასარგებლოა თუ არა ესა თუ ის გადაწყვეტილება. რევიზიონისტების წინადადება სხვა პოლიტიკურ პარტიებთან შეკავშირების შესახებ, ეგრედ წოდებულ ბლოკის შესახებ, და ბიუჯეტის მიღების თუ მიუღებლობის შესახებ,—ამჟამად პარტიისაგან უარყოფილი ხდება, მაგრამ ამ უარყოფას საფუძვლად აქვს თეორიული მსჯელობა და არა ცხოვრების გამოცდილება.

შეიძლება ამის პასუხად მიგვითითონ იმაზე, რომ სხვა პარტიებთან შეკავშირება უკვე გამოცდილი აქვს მუშათა პარტიას და ამიტომ დავადექითო ამნაირ გადაწყვეტილებას. ეს მართალი იქნებოდა მაშინ, რევიზიონისტებს რომ მოეთხოვნათ ყოველნაირ პარტიებთან შეკავშირება, რევიზიონისტებს რომ ეთქვათ, ყოველ შემთხვევაში უნდა მიიღონ მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა მინისტრების ადგილი, ყოველთვის და ყოველნაირი ბიუჯეტი უნდა დაამტკიცოსო პარტიამ და სხვადასხვა. მაგრამ ნამდვილად ხომ საქმე ასე არ არის..

სოციალ-დემოკრატიის პარტია საზოგადოდ ყველა არა-სოციალისტ პარტიასა და მთავრობას წინააღმდეგობას უწევს. ასეთი წინააღმდეგობა ხელს უწყობს პარტიას იმაში, რომ იგი ყოველ მხრივ დამოუკიდებელი რჩება, რომ შეუძლიან თანასწორად მკაცრი კრიტიკა უყოს. ეს არის მისთვის ბუნებრივი მდგომარეობა, მაგრამ ამასთან ერთად ასეთი ტაქტიკა უფრო ადვილიც არის. განა ძნელია სრული განცალკევება? მაგრამ განა ყოველთვის არის საჭირო იგი? არის მრავალი ისეთი შემთხვევა, როდესაც ასეთი განცალკევება უდრის მუშათა კლასსის ზოგიერთ ძირითად უფლებების დაკარგვას, როდესაც ამითი მუშათა კლასსი ხელს იღებს პარტიის განვითარებისათვის საჭირო უფლებების მოპოვებაზე. სხვა პარტიებთან შეკავშირებაზე უარის თქმა ხშირად საშიშიც არის, რადგანაც ამა თუ იმ ქვეყნის სოციალური მდგომარეობა შეიძლება აფერხებდეს შეუკავშირებლად პარტიის გაძლიერებას და ამის გამო შეიძლება რამდენიმე წლით გადაიდოს საჭირო რეფორმების შემოღება სახელმწიფოში. ბიუჯეტის დამტკიცებაზე უარის თქმა ხშირად ხალხის მოწინააღმდეგე პარტიების გაძლიერებას უდრის. ყოველივე ამნაირ შემთხვევაში საჭიროა მდგომარეობის აწონ-დაწონვა, ვინაიდან გაჯიუტება და განცალკევება უდრის იმ უფლებების მიგდებას, რომლის გამოყენება პარტიის სასარგებლოდ და პარტიის გასაძლიერებლად სავალდებულოა იმათთვის, ვისაც თავი პარტიის მეთაურად გამოჰყავს. ყოველსავე გაძლიერებას და გავლენას პასუხის მგებლობაც მოჰყვება. ამიტომ მე ჩემდათავად ყოველთვის წინააღმდეგი ვყოფილვარ, როდესაც ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებით უნდოდათ წინდაწინვე შეეზღუდათ პარტიის თავისუფალი მოქმედება შემდეგში და, ჩემის ფიქრით რევიზიონისტები მუშათა პარტიაში იმით განირჩევიან რადიკალებისაგან, რომ რევიზიონისტებს უნდათ განსაკუთრებით შეურჩინონ პარტიას მოქმედების თავისუფლება, რადიკალები კი განსაკუთრებით ცდილობენ შეურჩინონ თავიანთ პარტიას განცალკევება ყველა არა-სოციალისტ პარტიისაგან.

გამოცდილება გვიმტკიცებს იმასაც, რომ შეკავშირების ტაქტიკა საზარალოა, და იმასაც, რომ იგი სასურველია. ტყუილია, ვითომ სოციალ-დემოკრატია სხვა პარტიებთან შეკავშირებით ყოველთვის ნაზარალევი ყოფილიყოს; გერმანიაში და სხვაგანაც იგი ყოველთვის თავზე გამოსულა მაინც ამნაირ შეკავშირებით. ამას გარდა. ყოველი მაგალითი როდი გამოდგება საბუთად. ჩვენ ვიცინით ბავშვზე, რომელიც ხელს იჭრის დანით და ამაში დანას სთვლის პასუხისმგებლად. მაგრამ განა ამ ბავშვს არ მოგვაგონებენ ისინი, ვინც ყოველ ფეხის გადადგმაზე გვახსენებენ მილლერანის მაგალითს. ანარქისტებიც ხომ ერთ ხანს არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდნენ და ამტკიცებდნენ,—მონაწილების მიღება ჩვენთვის საზარალო გამოდგაო? ვინ ჩამოსთვლის ყველა იმ შეცდომას, რომელიც მოსვლია ხსვადასხვა პარტიას იმის გამო, რომ იგი ნამეტან ნაჩქარებად აზოგადებდა რომელსამე ფაქტს და იმის მიხედვით მოქმედობდა შემდეგში!

მაგრამ დავანებოთ თავი სხვა პარტიებთან შეკავშირების საკითხს, რომელიც პრაქტიკაში ყოველთვის დიდ მოფიქრებასა და აწონდაწონას მოითხოვს, და გადავიდეთ პრაქტიკის სხვა საკითხებზე. განა იქაც რევიზიონისტები მართალნი არ გამოდგნენ? გავიხსენოთ მომხმარებელი ამხანაგობანი, გავიხსენოთ ისეც, როგორ ეწინააღმდეგებოდა ზოგიერთი საბაჭო ხელშეკრულობებს, როგორ საშიშრად მიაჩნდა კლასთა ბრძოლისთვის უსაქმოდ დარჩენილთა მფარველობა.

ცხოვრებამ ისე შეცვალა პარტიის აზროვნება და ტაქტიკა, რომ ახლა ძნელი შეიქმნა რევიზიონისტების და რადიკალების ერთმანეთში გარჩევა. ის კი უნდა სთქვას ადამიანმა: ცხოვრების ახლანდელ განვითარების მიხედვით ცხადია, რომ რევიზიონისტები უფრო შორს გამჭვრეტნი გამოდგნენ, რომ მათ უფრო ადრე შეიგნეს პროგრამის გადასინჯვის საჭიროება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრატულ საფუძველზე დამყარებულ საერობო დაწესებულებათა შემოღებას. ამასთანავე ზოგიერთი სამაზრო სათათბირო იმასაც აღნიშნავს, რომ დემოკრატიული ერობა შეიძლება დამყარდეს და განვითარდეს მხოლოდ მაშინ, როცა ახლანდელი ბიუროკრატიული წესწყობილება შეიცვლება. ხალხს უნდა მიენიჭოს უფლებები: ხალხის უფლებათა განხორციელება კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მოხდება უფლების სრული დეცენტრალიზაცია, როდესაც ჩვენი განაპირა მხარე მიიღებს ავტონომიას.

ა. წითლიძე. მე მაგონდება ის ბავში, რომელიც საპნის ბუშტებით თავს იქცევს იმ დროს, როდესაც მამა-მისი, მომაკვდავი, სულს ებრძვის. ეს მამა ხალხია, რომელიც ეძებს ადამიანის უფლებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. სანამ ბრძანებლობს პოლიცია, სანამ არაა თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა და კრებების, სანამ არაა ხელშეუხებლობა პიროვნებისა და ბინის, მანამდის ლაპარაკიც კი მეტია რაღაც ერობის შემოღების შესახებ.

ბ-ნი გურიელი სრულად ეთანხმება ამხანაგს იმ კითხვაში, რომ დღეს-დღეობით ერობის შემოღების შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლებაო... გვეუბნებიან, დაწყნარდით და ყველაფერს მიიღებთო. ხალხი მხოლოდ მაშინ დაწყნარდება, როდესაც მიიწვევენ მის ნამდვილ წარმომადგენლებს და არა ტრუბეცკოებსა და ვერმიშევებს. მოძრაობა გამოიწვია ღარიბმა მუშა-ხალხმა; ამ მოძრაობის ხელმძღვანელნი, ფარული წრეები და ორგანიზაციები მანამდის არ დაანებებენ თავს მოქმედებას, სანამ ხალხის წარმომადგენელნი არ იქნებიან მიწვეულნი დამფუძნებელ კრებაზე. ბ-ნი გურიელი საჭიროდ არა სცნობს ნამესტნიკის საბჭოში წარმომადგენლების გაგზავნას; საკმაოდ სცნობს გაგზავნილ იქმნეს მხოლოდ სამაზრო სათათბიროების ოქმები.

გ. ზდანოვიჩი არ ეთანხმება იმ აზრს, ვითომც საჭირო არ იყოს ერობის შესახებ ლაპარაკი მანამდის, სანამ დამფუძნებელი კრება არ იქმნება მოწვეული. მაშ რაღა საჭირო იყო სამაზრო სათათბიროების შეკრება, საერობო დებულების პროექტის შემუშავება, თუ იმ აზრისა ვიყავით, რომ ჩვენმა პროექტმა ერობის შემოღებისა დამფუძნებელ კრების მოწვევას უნდა უცადოს?

ა. წითლიძე: ხალხსა და მთავრობას შუა დიდი ჯურღმულია, რომელიც სულ უფრო-და-უფრო ფართოვდება. მთავრობასა სურს ამ ჯურღმულზე ხიდი გადოს, რომ მიუახლოვდეს ხალხის ნდობას. ამგვარ ხიდად მთავრობა ერობას ხმარობს.

ბ-ნი კიკვაძეც წინააღმდეგია ნამესტნიკის საბჭოში წარმომადგენლის გაგზავნისა.

ბ-ნი წულუკიძე იმ აზრისაა, რომ წარმომადგენლებს არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვთ არ შეასრულონ ის, რისთვისაც ხალხმა გამოგზავნა და რაც დაავალა; მოწინავე ორატორების აზრი კი ხალხის სურვილის წინააღმდეგიაო.

გ. ს. მიქელაძე. ჯერჯერობით ხელი ჩავჭიდოთ იმას, რასაც გვაძლევენ. ამ ჟამად ჩვენ მხოლოდ ერობის შესახებ ვილაპარაკოთ და დროებით განზე გადავდოთ ფიქრი დემოკრატიულ რესპუბლიკისა და თუნდ დამფუძნებელ კრებაზედაც. სინამდვილის წინაშე თვალის დახუჭვა და მარტო ოცნებით ცხოვრება არ მოხერხდებაო. ორატორი საჭიროდ სცნობს პროექტის შემუშავებას და მასთან ნამესტნიკის საბჭოსთვის წარმომადგენლის არჩევას.

დიდხანს ილაპარაკა ბ-ნმა დონდუამ. მან ასწერა წარმომადგენელთა ორის ჯგუფის შეხედულება ერობაზე. ის საჭიროდ სთვლის, რომ სათათბირომ ამოირჩიოს წარმომადგენელი, რომელსაც უნდა დაევალოს ნამესტნიკის საბჭოში დაიცვას სათათბიროს მიერ შემუშავებულ ერობის პროექტი.

კრების გათავებისას წარმომადგენელთა ერთმა ჯგუფმა წარუდგინა თავმჯდომარეს თავისი რეზოლუცია და სთხოვა კენჭის ყრით გადაეწყვიტათ სათათბიროს მიერ ამ რეზოლუციის მიღება, თუ არ მიღება.

რადგან უკვე გვიან იყო, თავმჯდომარემ კრება დახურა და კენჭის ყრა შემდეგ სხდომისთვის გადასდო, რამაც ჯგუფის მხრით ენერგიული პროტესტი გამოიწვია.

19 სექტემბერი. წინა სხდომის ოქმის ცოტა შესწორება-დამტკიცების შემდეგ, წაკითხულ იქმნა რაჭის სამაზრო ოქმი.

სათათბიროს წევრმა ბ-ნმა გურიელმა თავის გრძელ სიტყვაში განაცხადა: „ჩვენ გუშინ-წინ უკვე დავრწმუნდით, რომ სათათბიროს თავმჯდომარე და მთავრობის დაწესებულებათა წარმომადგენელნი წინააღმდეგნი იყვნენ ჩვენის რეზოლუციისა, რომელიც წარმოვადგინეთ კენჭის საყრელად; ჩვენ გვითხრეს, რეზოლუცია შედეგი არაა იმ კამათისა, რომელიც აღიძრა სამაზრო სათათბიროებისაგან წარმოდგენილ საერობო დებულების პროექტების შესახებაო. ჩვენი ჯგუფი და საზოგადოება ერთხელ კიდევ ზედმეტად დარწმუნდა იმაში, რაშიაც ის დიდი ხანია უნდა დარწმუნებულიყო. ჩვენ აქ ნებას არ გვაძლევენ, რომ თავისუფლად წარმოვთქვათ ჩვენი აზრი და რწმენა, ჩვენს მისწრაფებასა და რწმენას აქ შეუძლებელ ოცნებადა სთვლიან, მაგრამ ეს ოცნება არაა. ესაა ხალხის და პროლეტარიატის ბეჯითი მოთხოვნა, იმ პროლეტარიატისა, რომელიც ჩვენს უკან კედელივით აღმართულია და მუდამ მზადაა დაღვაროს სისხლი თავის უფლებათა განსახორციელებლად. გუშინ-წინ, ჩვენს რეზოლიუციას კენჭი არ უყარეს, რადგან ეშინოდათ, არ გასულიყო; დღეს კი კრებაზე ისეთი პირნი მოუყვანიათ, რომელთაც ინსტრუქციის ძალით ხმის უფლება არა აქვთ, ამიტომ შემდეგში ჩვენი აქ დარჩენა საჭირო აღარ მიგვაჩნია. ტფილისში, აბაშასა და სხვა ადგილებში მომხდარი ამბები და მთელს მხარეში სამხედრო წესების შემოღება ნათლად გვიმტკიცებს, რომ სურთ ხალხს პირი აუკრან და აუკრძალონ აზრის თავისუფლად გამოთქმა. ამგვარსავე მოვლენას ვხედავთ ჩვენს დღევანდელ კრებაზედაც. ამიტომ დღეიდან ჩვენ თავს ვანებებთ სათათბიროს, ვწყვეტთ კავშირს ჩვენ მოწინააღმდეგე წარმომადგენლებთან, პროტესტს ვუცხადებთ თავმჯდომარის ძალმომრეობას და ბოიკოტს იმ ერობას, რომლის განხორციელება ეხლანდელ პირობებში შეუძლებელიაო“.

ამ სიტყვის შემდეგ სხდომიდან დემონსტრატიულად წავიდა სათათბიროს 16 წარმომადგენელი: ბ-ნნი კიკვაძე, ჩხეიძე, წითლიძე, გუგულავა, გურული, ებანოიძე, რობაქიძე, მურვანიძე, ცეცხლაძე, კერესელიძე, ჩიხლაძე, კალანდაძე, ჯაფარიძე, ქოხაძე, რაზმაძე და ცინცაძე. წასვლის წინ მათ გადასცეს თავმჯდომარეს ახალი რეზოლუცია, ნაცვლად იმ რეზოლუციისა, რომელიც 17 სექტემბერს წარმოადგინეს, მაგრამ რაღაც მოსაზრებით ისევ უკან წაიღეს და შესცვალეს. წარმომადგენლებთან ერთად იგრიალა თეატრში მყოფმა ახალგაზდობამ და ყვირილითა და ხმაურობით გარეთ გავიდა.

მიუხედავად ამ არეულობისა და ხმაურობისა სათათბირომ განაგრძო თავისი სხდომა.

გ. ზდანოვიჩმა განაცხადა: „როდესაც ბ-ნი გურული გამოსათხოვარ სიტყვას ამბობდა, მე თავმჯდომარეს ვთხოვე სიტყვის ნება. ზრდილობა მოითხოვდა, რომ იმ წარმომადგენელთ, რომელთაც ჩვენ ზიზღი გამოგვიცხადეს და დემოკრატიულ ერობას ბოიკოტი გამოუცხადეს და მიატოვეს სხდომა,—მოესმინათ ჩვენი პასუხი, მაგრამ მათ შეეშინდათ ამისა და სამარცხვინოდ გაიქცნენ. მეორე მხრით, მე პროტესტს ვუცხადებ იმ ჯგუფის მოქმედებას, რომელიც თავის თავს ხალხს უწოდებენ. ისინი განზრახ სტყუიან; როდესაც მესმის, თითქოს 9 იანვარს პეტერბურგში მომხდარი ამბავი სოციალ-დემოკრატების საქმე იყოს,—ვხედავ მათგან სინამდვილის განგებ დამახინჯებას. არა, ტყუილია, 9 იანვრის ამბავი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მიერ არაა გამოწვეული“.

ხმაურობა და ყვირილი მაინც არ შესწყდა. თეატრის ტალანი სავსე იყო ხალხით, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობდა სხდომა დაეშალა. ამ მიზნით ქანდარიდან გადმოაგდეს ჯერ მოკიდებული ფიტილი, მერმე რევოლვერი დასცალეს თეატრში, შემდეგ გადმოაგდეს პეტარდა, რომელიც სცენაზე ასასვლელ კიბეს მოხვდა და მოზრდილი ნაფოტი ააგლიჯა,—მაგრამ ყველა ამან უნაყოფოდ ჩაიარა: სხდომა კვლავ განაგრძეს.

მ. გობეჩია: „წარმომადგენელთა იმ ჯგუფმა, რომელმაც დღეს ჩვენი სხდომა დასტოვა, გუშინ წინ დაჰგმო იმ პირის საქციელი, რომელმაც თეატრში სამწუხარო ინციდენტი გამოიწვია. დღეს კი ამ ჯგუფმა თავის თანამოაზრეთა დახმარებით კიდევ მეტი ძალმომრეობა და უმსგავსობა ჩაიდინა, რომელსაც შეეძლო სისხლისღვრა და უდანაშაულო ხალხის ხოცვა-ჟლეტა გამოეწვია. მათი ასეთი საქციელი მე პროვოკაციად მიმაჩნია და წინადადებას ვაძლევ კრებას, რომ ზიზღი და გულისწყრომა გამოუცხადოს იმ პირთ, რომელნიც გახდნენ მიზეზად ამ უმაგალითო უმსგავსოებისა“.

კრებამ ერთხმად გამოუცხადა ზიზღი და გულისწყრომა იმათ, ვინც ამნაირად მოექცა კრებას.

კრება შეუდგა საერობო დებულების პროექტის განხილვას, მაგრამ რადგან უკვე გვიან იყო, თავმჯდომარემ სხდომა შემდეგ დღისათვის გადასდო.

ისარა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა. უშველებელი დარბაზი, მთლად... ცარიელი. ცხრა-თვალა მზესავით მოლაპლაპე ელექტრონი, რომელიც მსწრაფლ გიფანტავს იმედს, რომ შეიძლება დარბაზის კუთხე-კუნჭულში მაინც იმყოფებოდეს მაყურებელი. ონავარ ნადირივით პირ-დაღრენილი ლოჟები და მშიერ სვავივით პირ-ღია სავარძლები. აქა-იქ ტალანში ზლაზვნით და ჩმუჩნით მოსიარულე ორიოდე კაცი, სახე ჩამოგძელებული, იერ-დაკარგული.. ყველას სახეზე რაღაც გამოურკვეველი გამომეტყველება გამოითქმის, თითქოს რცხვენოდეთ თავიანთ თავისა და იმათიც, რომელთა საერთო კრებულს ქართველი საზოგადოება ეწოდება.

პირველი ქართული წარმოდგენაა ამ სეზონში...

„დალატი“-ა წარმოსადგენად დანიშნული...

სად არის ამ დროს ქართველი საზოგადოება?

სად არიან ჩვენი ტურფა ბანოვანნი? სხვას ნურას იტყვით, ნუთუ არც ის ეგულისხმიერებათ, რომ ერთმანეთს და სხვებს აჩვენონ თავიანთი მოსართავ-სამკაული?!

სად არის ჩვენი მოქეიფე ყმაწვილ-კაცობა, რომელიც ყველა გარემოებათა შორის ახერხებს დროს გატარებას...

სად არიან ჩვენი მამულიშვილნი, რომელთაც ისე არ შეუძლიანთ ქართულ საქმეებზე ლაპარაკი, თუ არა გულში ხელის-ცემით და კილო-შეკიდებით... ნუთუ ქართული ხელოვნება ქართული საქმე არ არის?!

სად არიან ჩვენი სხვადასხვა „ისტნი“-ს, ასე-თუ-ისე ისინიც ხომ ქართველ საზოგადოების კულტურულ ნაწილს შეადგენენ...

სად არიან.. მაგრამ ყველა ამ კითხვებს განა დასასრული აქვს?

დიაღ, თეატრი ცარიელი იყო, და რაღა გასაკვირია, რომ მსახიობთ ხალისი გაჰქრობოდათ და კარგად ვერ წარმოედგინათ პიესა. ყოველ შემთხვევაში მეცადინეობა და ყურადღება მსახიობთა მხრით უფრო მეტი ჩანდა, ვიდრე საზოგადოების მხრით. პიესა საერთოდ გვარიანად ითამაშეს,—რაც უნდა იყოს, იმაზე კარგად, ვიდრე წინად უთამაშნიათ.

ი.

რუსეთი

ამას წინად საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა სამოსწავლო წიგნი „როდინა“ დაიწუნა და სასწავლებლებში სახმარებლად აკრძალა, ახლა კი ამავე კომიტეტმა ეს წიგნი მოიწონა და სასწავლებლებს სახელმძღვანელო სახმარებლად ურჩია (რ. ვ.).

◆ პორტ-არტურის დამცველ გენერლის განსვენებულ კონდრატენკოს ადიუტანტმა გრინევიჩმა პეტერბურგში მიიტანა და ერთ მოხელეს გადასცა გენ. **კონდრატენკოს მეტად საინტერესო დღიური**, რომელშიაც, როგორც ამბობენ, მშვენიერი მასალაა პორტ-არტურის „დაცვის“ ისტორიისათვის (რ. ვ.).

◆ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა კრებაზე დაადგინეს—**ბოიკოტი** გამოუცხადონ 7 რეაქციონერ პროფესორსა და პრივატ-დოცენტს. ერთი მათგანი, პრივატ-დოცენტი ნიკოლსკი ლექციებზე აღარ დადის; მეორე—პროფესორი გეორგიევსკი 19 სექტემბერს სტუდენტებით გაჭედილ აუდიტორიაში შესულა ლექციის წასაკითხავ, მაგრამ მთელ აუდიტორიას ერთხმად უყვირია, —„ბოიკოტი! ბოიკოტი! არ გვინდა თქვენი მოსმენა, ბატონო პროფესორო! არ გვინდა თქვენი ლექცია!“ პროფესორს ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ სტუდენტებმა არ მოისმინეს და გააძევეს. ეხლა პროფესორი გეორგიევსკი „სლოვო“-ში სწერს ზემოხსენებულ სტუდენტებს „25 წელიწადია პროფესორად ვარ და ამ ხნის განმავლობაში ისეთი არაფერი ჩამიდენია, რაიცა ჩემთვის სათაკილო და დასაძრახისი იყოს. უმორჩილესად ვთხოვ სტუდენტებს სამედიატორო სამართალში გამოეიდნენ და დანაშაული დამიმტკიცონო“. (რ. ვ.).

◆ სექტემბრს პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში **სტუდენტების კრება** მოხდა. კრებას 1000-ზე მეტი კაცი დაესწრო. მიღებულ აქმნა შემდეგი რეზოლუციები: სწავლა განახლდეს, ინსტიტუტში შესვლის ნება მიეცეს ყველა მსურველს, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა; სამოსწავლო სისტემის შეცვლა და სხ. კრებამ 14 საათი გასტანა შეუწყვეტლივ. (რ. ვ.).

კორესპონდენცია

დ. ცხინვალი, 24 ენკენისთვე. სასტიკის ზომების მეოხებით ბიუროკრატიამ რამდენიმე ცხინვალელი გამოსტეხა. ამასთან ერთად ერთმა აქაურმა თავადმაც გამოიჩინა ბიჭობა და პოლიციას ყველაფერი შეატყობინა. დღეს პოლიცია გაფაციცებით დაეძებს აგიტატორებს, წითელ რაზმელებს და ათის-თავ-ასის თავებს. ბევრი დაატუსაღეს, როგორც ცხინვალში, ისე გარეშე სოფლებშიაც. ბ. გუგუშვილი დათარეშობს სოფლებში, იჭერს ბრალიანსა და უბრალოს, ამასთანავე იჭერს და უწყალოდ სცემს დედა-კაცებსაც კი, როგორ გაბედეთ და ქალებმაც ათის-თავი—ასის თავები ამოირჩიეთო. როცა ცხინვალი კარგად გასწმინდეს „მაჯნეთაგან“, ეგზეკუცია მოხსნეს და არტილერია, ოთხი ზარბაზნით, გორშივე დააბრუნეს, დღეს ცხინვალს სიცოცხლის ნიშან წყალი აღარ ეტყობა. შემდეგ რა იქნება...

ქარ-ცეცხლი.

—

ერედვი, 20 ენკენისთვე (შიდა ქართლი). აქ რამდენჯერმე მოხდა შეტაკება გლეხობასა და თავადებ შორის და ეგზეკუციამ და კაზაკ-რუსების მათრახებმა ჩაანელა მათი მოძრაობა, მაგრამ.. მაინც არ დრკებოდა გლეხობა და მაინც ეწინააღმდეგებოდნენ მათ უკუღმართ ქცევას. დღეს გლეხობას და თავადებს მოლაპარაკება აქვთ დალის ადების შესახებ. დალა ჯერაც არ აუღიათ. ადგილად კომისიას უცდიან. თავადები დალს ძველებურის წესით თხოულობენ, გლეხობა ამას არ ყაბულდება და ერთმანეთში დიდი ჩხუბი-დავიდარაბა აქვთ ატეხილი. თავადები ეგზეკუციით ემუქრებიან. ვნახოთ, საქმე რით გათავდება.

ქარ-ცეცხლი.

წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ,,ივერიის“ 163 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ პეტრე სურგულაძის წერილი ,,მასწავლებელთა ერთობა“, რომელშიაც ავტორი აბრალებს ზუგდიდის მაზრის სოფლის მასწავლებელთა კრებას, ვითომც ის წინააღმდეგი ყოფილიყოს ხალხის აზრის მოსმენასა და ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა კრების მიერ შემუშავებულ სასწავლო გეგმისა. აქ ცოტაოდენი გაუგებრობაა. საქმის ვითარება ასე იყო: მასწავლებელთ ჰქონდათ რამოდენიმე კრება, სადაც ლაპარაკობდნენ სულ გარეშე პირნი და მასწავლებელნი კი უმეტესად ხმას არ იღებდნენ. ხოლო საჭირო იყო თვით მასწავლებელთა აზრების გაზიარება. გარეშე პირთა კამათს დასასრული არ ჰქონდა, რის გამო საქმე წინ არ მიდიოდა. ამიტომ გადავსწყვიტეთ და გარეშე პირთაც თვითონვე მოისურვეს, რომ ჯერ ჩვენ, მასწავლებლებს, გამოგვეთქვა ჩვენი აზრი კრებაში, საზოგადოების თანდასწრებით, ხოლო ჩვენის აზრის გამოთქმის შემდეგ, სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელთ მიეღოთ მონაწილეობა და თავთავისი პროგრამა გაეცნოთ კრებისათვის. გარდა ამისა ზუგდიდის მაზრის მასწავლებელთა კრება სრულებითაც არ იყო წინააღმდეგი ზემოხსენებულ სასწავლო გეგმისა. კრებამ, პირიქით, მიიღო სახელმძღვანელოდ ეს გეგმა, თუმცა ამ გეგმის რამოდენიმე შეცვლა-შესწორება მიანდო იქვე ამორჩეულ კომისიას. ამავე კრებამ მიიღო დადგენილება საგუბერნიო კრებისა სწავლის შეწყვეტის შესახებ. აბა, სად არის აქ განკერძოება და ერთობის დარღვევა. მხოლოდ გუბერნიის მასწავლებელთა კავშირში პირდაპირ არ შევიდნენ ზუგდიდის მაზრის სოფლის მასწავლებელნი, იმიტომ, რომ ეს „კავშირი“ დაქვემდებარებაა, ესრედწოდებულ „მესამე დასს“, რომლის ცენტრალისტური მიდრეკილება უარჰყო ზუგდიდის მაზრის მასწავლებელთა კრებამ. ამ მასწავლებელთ სულ სხვა დასის დროშის ქვეშ სურთ მოქმედება. ამისთვის იყო, რომ კრება არ დაემორჩილა ბრმად საგუბერნიო „კავშირს“ და მოისურვა საკუთარის, სრულიად ავტონომიურ ორგანიზაციის დაარსება, რომელიც თავისუფლად, ფედერატიულად უერთდება გუბერნიის „კავშირს“.

ამგვარად ჩვენს კრებასა და საგუბერნიო კრებას შორის იყო განსხვავება მხოლოდ ცენტრალისტურსა და ფედერატიულ პრინციპებში, ხოლო ამ უკანასკნელ პრინციპის მომხრეა, თუ არა ვცდებით, თვითონ ბ-ნი პ. სურგულაძე.

რუხის სოფლის მასწავლებელი პ. კაკულია.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 სექტემბერი.

პეტერბურგი, 26 სექტემბერი. ოფიციალურად. უმაღლესი რესკრიპტი გრაფ ვიტტეს სახელზე. „გრაფო სერგეი იულის ძევ. რუსეთის მშვიდობიანობაზე მუდამ ზრუნვაში მყოფმა, მე განვუცხადე ჩემი თანხმობა და მივიღე ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის მეგობრული წინადადება, რომ რუსეთისა და იაპონიის წარმომადგენელნი შეეყრილიყვნენ და მოელაპარაკნათ, როგორ მოისპოს ხანგრძლივი ომი, რომელმაც ორივე მხრიდან აუარებელი ხალხი და ფული იმსხვერპლა. ჩემის ნდობით თქვენ დაგევალათ, წასულიყავით შეერთებულ შტატებში, როგორც ჩემი პირველი წარმომადგენელი, და თუ იაპონელთა მოთხოვნილებანი მისაღები იქნებოდა, მოლაპარაკება ჩამოგეგდოთ ზავის ხელშეკრულობის შესახებ იმ პირობებით, რომელიც მე დაგინიშნეთ. როგორც წინასწარ პირობებზე მსჯელობისას, ისე ზავის პირობების შემუშავების დროს, თქვენ მოვალეობა ბრწყინვალედ აასრულეთ. თქვენ მოქმედობდით მედგრად, როგორც შეეფერება რუსეთის ღირსებას, და მიაღწიეთ იმას, რომ იაპონელებს ბევრი რამ დაათმობინეთ და დაუმტკიცეთ მათ, რომ მათი მოთხოვნილებანი რუსეთის ხალხის პატრიოტულ გრძნობებს შეურაცხჰყოფდა და სამშობლოს ინტერესებს აზარალებდა. თქვენ ხელმძღვანელობდით ჩემის ბრძანებით და უარჰყავით ომის ხარჯის გადახდა, რაშიაც უნდა გამოიხატებოდეს იგი, და დასთანხმდით მხოლოდ სახალინის სამხრეთის მხარის დაბრუნებაზე, რომელიც მას ეკუთვნოდა 1875 წლამდე. ამგვარად შორეულ-აღმოსავლეთში ომი ყველას საკეთილოდ დასრულდა. ვაფასებ რა თქვენს მოხერხებას და სახელმწიფო გამოცდილებას, ჯილდოდ თქვენის უდიდესი ღვაწლისა სამშობლოს წინაშე გიბოძებთ თქვენ რუსეთის იმპერიის გრაფობის ხარისხს. დავშთები მარადის თქვენდამი კეთილგანწყობილი“. დედანს ხელმწიფის ხელის აწერია „და გულწრფელად მადლობელი **ნიკოლოზი**“. პეტერგოფი, 25 სექტემბერი.

მოსკოვი, 26 სექტემბერი. უწესოების დროს დაშავებულთა რაოდენობა მთავრობამ არ იცის. უმრავლესობა მსუბუქადაა დაჭრილი და სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. პოლიციაში მკვდარი არ არის. ჟანდარმი ჭრილობისაგან მოკვდა. მძიმედ დაჭრილია სამი კაზაკი და ერთი გოროდოვოი. მსუბუქად დაჭრილია ოცამდე გოროდოვოი. დღეს ქუჩებზე საღამომდე მშვიდობიანობა იყო. მიღებულია საჭირო ზომები. პოლიციელთა და დარაჯთა რიცხვი გამრავლებულია. გამოირკვა, რომ გუშინ, როცა მებულკეებს ესროდნენ, ტყვიები ცარიელ სახლის კერს მოხვდა. შეიპყრეს 192, ციხეში ჩასვეს 65, დანარჩენი გაანთავისუფლეს. ორეხოვო-ზუევში გაიგზავნა 200 კაზაკი, რადგანაც მუშათა მღელვარება დაიწყო.

განჯა, 26 სექტემბერი. ზანგეზურის მაზრის უფროსი იუწყება, რომ 11 სექტემბერს ყალადარასინის სომხებმა ოთხი თათარი მოჰკლეს. თათრებმა 16 სექტემბერს რვა სომეხი მოჰკლეს. 20 სექტემბერს თათრებმა დასწვეს თათრის სოფელი აგანუსი. 21—თათრებმა დასწვეს ყალადარასინის ბინები და სოფელს ალყა შემოარტყეს. მაზრის უფროსმა ხანგრძლივ სროლის შემდეგ თათრები განფანტა. წესიერება აღდგენილ იქმნა.

ველიკოვიშკი, 26 სექტემბერი. უცნობებმა დაარბიეს სახაზინო არყის დუქნები ვისოკაიასა, ბუდასა, გრიშევასა და ბუდაში.

ქრისტიანია, 26 სექტემბერი. სტორტინგმა 101 ხმის უმეტესობით 16 წინააღმდეგ კარლსტადის შეთანხმება მიიღო.

სტამბოლი. ხონთქარს მადლობის წერილები წარუდგინეს ევროპიელთა კოლონიის მცხოვრებლებმა პერში იმის გამო, რომ ყუმბარებისა და თოფ-იარაღის აღმოჩენის დროს მცხოვრებლებს ფთხილად და ზრდილობიანად ეპყრობოდნენ და ტყუილ უბრალოდ არავინ არ შეუწუხებიათ. იპოვეს, სხვათა შორის, 50 კილოგრამიანი ყუმბარა მელინიტით გატენილი, რომლითაც კლუბი უნდა აეფეთქებინათ. საშინელება მოხდებოდა, ეს ყუმბარა რომ აეფეთქებინათ. ამბობენ ნამდვილი ანარქიული შეთქმულობა იყო ევროპიელების წინააღმდეგო.

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი. გადადებულია 35 მილიონი ფრანკი წყალ-ქვეშ მავალ ნავებისა და ნაღმოსნების გამოსაცდელად.

გემ „ვიქტორია“-თი მოსული მგზავრები, რომელთა შორის იმყოფებოდა ცნობილი სამხედრო კორესპონდენტი კოლლინსი, ამბობენ, საფლაგმანო გემი ადმირალის ტოგოსი ჯავშნოსანი „მიკაზა“ თვითონ აფიცრებმა ააფეთქესო, რადგან მეზღვაურები აჯანყდნენო.

იოჰანესბურგი, 26 სექტემბერი. აქ ხმა გავრცელდი, რომ ინგლისის რადიკალებმა 15,000 გირვანქაზე ხელი მოაწერეს ბურების თანხისთვის რომელიც „ხეტ-ფოლკ“-ის პოლიტიკურ ორგანიზაციისთვის არის დანიშნული.

ბომბეი, 27 სექტემბერი. აჯანყდნენ მუშები, ფაბრიკების გადაწვას ლამობენ და სხვებსაც უშლიან მუშაობას ისინი თხოულობენ სამუშაო დღის შემცირებას.

ტოკიო, 27 სექტებერი. საზღვაო აღლუმზე, რომელიც ტოკიოს ნავთ-სადგურში მოხდება 2 სექტემბერს, თითქმის ყველა სახელმწიფოების ფლოტები დაესწრება. მონაწილეობას მიიღებენ იაპონიის ყველა გემები, რომელნიც ომში იყვნენ, აგრეთვე რუსეთის დატყვევებული სამხედრო გემები და ტრანსპორტები.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 დილის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილით 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 . 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 2 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (12 ს. 28 წ)

—

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოე

ტ ფ ი ლ ი ს შ ი:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლა
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. „ 5—8

ახალი წიგნი
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგ ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის“ კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში“ და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძესთან.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 27 Сентября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5.